

ESRS S2

ღირებულებათა ჯაჭვში მომუშავეები

შინაარსი

მიზანი

ურთიერთქმედება სხვა ESR-ებთან

ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნები

- ESR 2 – „ინფორმაციის გამჟღავნების საერთო მოთხოვნები“

სტრატეგია

- ESR 2-ის SBM-2 ნაწილთან – „დაინტერესებულ მხარეთა ინტერესები და მოსაზრებები“ – დაკავშირებული ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნა
- ESR 2-ის SBM-3 ნაწილთან – „არსებითი ზემოქმედება, რისკები და შესაძლებლობები და მათი ურთიერთქმედება სტრატეგიასა და ბიზნესმოდელთან“ – დაკავშირებული ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნა

ზემოქმედების, რისკისა და შესაძლებლობის მართვა

- ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნა S2-1 – „ღირებულებათა ჯაჭვში მომუშავეებთან დაკავშირებული პოლიტიკები“
- ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნა S2-2 – „ღირებულებათა ჯაჭვში მომუშავეებთან ურთიერთქმედების პროცესები ზემოქმედებასთან დაკავშირებით“
- ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნა S2-3 – „უარყოფითი ზემოქმედების რემედიაციის პროცესები და არხები, რომლის მეშვეობით ღირებულებათა ჯაჭვში მომუშავეებს შეუძლიათ თავიანთი პრობლემების შესახებ საწარმოს ინფორმირება“
- ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნა S2-4 – „ზომების მიღება ღირებულებათა ჯაჭვში მომუშავეებზე არსებით ზემოქმედებასთან დაკავშირებით, ასევე ღირებულებათა ჯაჭვში მომუშავეებთან დაკავშირებული არსებითი რისკების მართვისა და არსებითი შესაძლებლობების გამოყენების მიდგომები და ამ ქმედებების ეფექტიანობა“

მდგრადობის მაჩვენებლები და სამიზნე მაჩვენებლები

- ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნა S2-5 – „არსებითი უარყოფითი ზემოქმედების მართვასთან, დადებითი ზემოქმედების გაუმჯობესებასა და არსებითი რისკებისა და შესაძლებლობების მართვასთან დაკავშირებული სამიზნე მაჩვენებლები“

დანართი ა: გამოყენების მოთხოვნები

- მიზანი
- ESR 2 – „ინფორმაციის გამჟღავნების საერთო მოთხოვნები“

სტრატეგია

- ESR 2-ის SBM-2 ნაწილთან – „დაინტერესებულ მხარეთა ინტერესები და მოსაზრებები“ – დაკავშირებული ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნა
- ESR 2-ის SBM-3 ნაწილთან - „არსებითი ზემოქმედება, რისკები და შესაძლებლობები და მათი ურთიერთქმედება სტრატეგიასა და ბიზნესმოდელთან“ – დაკავშირებული ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნა

ზემოქმედების, რისკისა და შესაძლებლობის მართვა

- ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნა S2-1 – „ღირებულებათა ჯაჭვში მომუშავეებთან დაკავშირებული პოლიტიკები“
- ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნა S2-2 – „ღირებულებათა ჯაჭვში მომუშავეებთან ურთიერთქმედების პროცესები საწარმოს ზემოქმედებასთან დაკავშირებით“
- ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნა S2-3 – „უარყოფითი ზემოქმედების რემედიაციის პროცესები და არხები, რომლის მეშვეობით ღირებულებათა ჯაჭვში მომუშავეებს შეუძლიათ თავიანთი პრობლემების შესახებ საწარმოს ინფორმირება“
- ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნა S2-4 – „ზომების მიღება ღირებულებათა ჯაჭვში მომუშავეებზე არსებით ზემოქმედებასთან დაკავშირებით, ასევე ღირებულებათა ჯაჭვში მომუშავეებთან დაკავშირებული არსებითი რისკების მართვისა და არსებითი შესაძლებლობების გამოყენების მიდგომები და ამ ქმედებების ეფექტიანობა“

მდგრადობის მაჩვენებლები და სამიზნე მაჩვენებლები

- ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნა S2-5 – „არსებითი უარყოფითი ზემოქმედების მართვასთან, დადებითი ზემოქმედების გაუმჯობესებასა და არსებითი რისკებისა და შესაძლებლობების მართვასთან დაკავშირებული სამიზნე მაჩვენებლები“

მიზანი

1. წინამდებარე სტანდარტის მიზანია მოთხოვნების დადგენა ისეთი ინფორმაციის გამჟღავნებისთვის, რომელიც **მდგრადობის ანგარიშგების მომხმარებლებს** საშუალებას მისცემს, ნათელი წარმოდგენა შეიქმნან **ღირებულებათა ჯაჭვში მომუშავეებზე** განხორციელებული **არსებითი ზემოქმედების** შესახებ, რომელიც დაკავშირებულია საწარმოს საკუთარ ოპერაციებსა და ღირებულებათა ჯაჭვთან, მათ შორის, რომელიც ხორციელდება მისი პროდუქტების ან მომსახურების და საქმიანი ურთიერთობების მეშვეობით, ასევე დაკავშირებული არსებითი რისკებისა და შესაძლებლობების თაობაზე, მათ შორის:
 - ა) როგორ ზემოქმედებს საწარმო თავის ღირებულებათა ჯაჭვში მომუშავეებზე, არსებითი დადებითი და უარყოფითი, ფაქტობრივი ან პოტენციური ზემოქმედების თვალსაზრისით;
 - ბ) ნებისმიერი განხორციელებული **ქმედება** და მისი შედეგები, რომელიც მიმართული იყო ფაქტობრივი ან პოტენციური უარყოფითი ზემოქმედების პრევენციაზე, შერბილებაზე ან რემედიაციაზე, ასევე რისკებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებაზე;
 - გ) საწარმოს არსებითი რისკებისა და შესაძლებლობების ხასიათი, ტიპი და მასშტაბი, მათ შორის, რომლებიც დაკავშირებულია ღირებულებათა ჯაჭვში მომუშავეებზე საწარმოს ზემოქმედებასა და **დამოკიდებულებასთან**, ასევე როგორ მართავს საწარმო ამგვარ რისკებსა და შესაძლებლობებს; და
 - დ) არსებითი რისკებისა და შესაძლებლობების **ფინანსური გავლენა** საწარმოზე მოკლევადიან, საშუალოვადიან და გრძელვადიან პერიოდში, მათ შორის, რომლებიც წარმოიქმნება ღირებულებათა ჯაჭვში მომუშავეებზე საწარმოს ზემოქმედებისა და დამოკიდებულების შედეგად.
2. ამ მიზნის მისაღწევად, წინამდებარე სტანდარტი მოითხოვს საერთო მიდგომის ახსნას, რომელსაც საწარმო იყენებს **ღირებულებათა ჯაჭვში** მომუშავეებთან დაკავშირებული ნებისმიერი არსებითი ფაქტობრივი და პოტენციური **ზემოქმედების** გამოვლენისა და მართვისთვის, რომელიც დაკავშირებულია:
 - ა) შრომის პირობებთან (მაგალითად, გარანტირებული დასაქმება, სამუშაო დრო, **ადეკვატური ხელფასი, სოციალური დიალოგი**, ურთიერთობის თავისუფლება, მათ შორის მუშათა საბჭოების არსებობა, **კოლექტიური შეთანხმებები, სამუშაოსა და პირად ცხოვრებას შორის ბალანსი** და ჯანმრთელობა და შრომის უსაფრთხოება);
 - ბ) ყველასთვის **თანაბარ მოპყრობასა და თანაბარ შესაძლებლობებთან** (მაგალითად, გენდერული თანასწორობა და თანაბარი **ანაზღაურება** ერთნაირი ღირებულების სამუშაოსთვის, **ტრენინგი** და

უნარების განვითარება, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დასაქმება და ინტეგრაცია, სამუშაო ადგილზე ძალადობისა და შევიწროების აღკვეთის ღონისძიებები, ასევე მრავალფეროვნება);

- გ) შრომასთან დაკავშირებულ სხვა უფლებებთან (მაგალითად, *ბავშვების შრომა, იძულებითი შრომა*, ადევკატური საცხოვრებელი პირობები, წყალი, სანიტარია და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა).
3. გარდა ამისა, წინამდებარე სტანდარტი მოითხოვს იმის ახსნას, *ღირებულებათა ჯაჭვში მომუშავეებზე* საწარმოს ამგვარ ზემოქმედებას და ასევე მის *დამოკიდებულებას* როგორ შეუძლია საწარმოსთვის არსებითი რისკების ან შესაძლებლობების წარმოქმნა. მაგალითად, ღირებულებათა ჯაჭვში მომუშავეებზე უარყოფითმა ზემოქმედებამ შესაძლოა ჩაშალოს საწარმოს საქმიანობა (მისი პროდუქციის ყიდვაზე მომხმარებლების უარის ან სახელმწიფო ორგანოების მიერ საქონლის კონფისკაციის მეშვეობით) და ზიანი მიაყენოს მის რეპუტაციას. პირიქით, მომუშავეთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის აქტიურ პროგრამებს (მაგალითად, ფინანსური განათლების ღონისძიებების მეშვეობით) შეუძლია გზა გაუხსნას ბიზნესის შესაძლებლობებს, როგორც არის, მაგალითად უფრო საიმედო მიწოდება ან *მომხმარებელთა* ბაზის გაფართოება სამომავლოდ.
4. ეს სტანდარტი ვრცელდება საწარმოს აღმავალ და დაღმავალ *ღირებულებათა ჯაჭვში* მომუშავე ყველა პირზე, რომელზეც საწარმო ახდენს არსებით ზემოქმედებას ან შეუძლია მოახდინოს, მათ შორის ისეთს, რომელიც დაკავშირებულია საწარმოს საკუთარ ოპერაციებსა და ღირებულებათა ჯაჭვთან, მათ შორის თავისი პროდუქტების ან მომსახურების და საქმიანი ურთიერთობების მეშვეობით. აქ იგულისხმება ყველა მომუშავე, რომელიც არ მოიაზრება საწარმოს „*საკუთარი სამუშაო ძალის*“ ცნებაში (საკუთარი სამუშაო ძალა მოიცავს *დასაქმებულებს*, ინდივიდუალურ კონტრაქტორებს, ე.ი. თვითდასაქმებულ პირებს და ასევე მომუშავეებს, რომლის კანდიდატურა საწარმოს წარუდგინა მესამე მხარემ, რომელიც ძირითადად „დასაქმების საქმიანობით“ არის დაკავებული). *საკუთარი სამუშაო ძალა* განხილულია ESR S1 სტანდარტში – „*საკუთარი სამუშაო ძალა*“ იხ.: AR 3, სადაც მოყვანილია იმ მომუშავეთა მაგალითები, რომლებიც განეკუთვნება ამ სტანდარტის მოქმედების სფეროს.

ურთიერთქმედება სხვა ESR S-ებთან

5. წინამდებარე სტანდარტი იმ შემთხვევაში გამოიყენება, როდესაც *ღირებულებათა ჯაჭვში მომუშავეებზე* არსებითი *ზემოქმედება* ან/და ღირებულებათა ჯაჭვში მომუშავეებთან დაკავშირებული არსებითი *რისკები* და *შესაძლებლობები* გამოვლინდება *არსებითობის* შეფასების პროცესის მეშვეობით, რომელიც განხილულია ESR S 2-ში – „*ინფორმაციის გამჟღავნების საერთო მოთხოვნები*“.
6. ეს სტანდარტი უნდა განიხილებოდეს ESR S 1-სა – „*ზოგადი მოთხოვნები*“ და ESR S 2-თან – „*ინფორმაციის გამჟღავნების საერთო მოთხოვნები*“, ასევე ESR S S1-თან, ESR S S3-თან – „*ზემოქმედების ქვეშ მყოფი საზოგადოებრივი ჯგუფები*“ და ESR S S4-თან – „*მომხმარებლები და საბოლოო მომხმარებლები*“ – ერთად.
7. ანგარიშების ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად, წინამდებარე სტანდარტის შესაბამისად წარდგენილი ინფორმაცია უნდა იყოს თავსებადი, თანამიმდევრული და, როდესაც შესაფერისია, ნათლად დაკავშირებული იმ ინფორმაციასთან, რომელიც საწარმოს წარმოდგენილი აქვს *საკუთარი სამუშაო ძალის* შესახებ ESR S S1-ის მიხედვით.

ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნები

ESR S 2 – „ინფორმაციის გამჟღავნების საერთო მოთხოვნები“

8. სტანდარტის ამ ნაწილის მოთხოვნები უნდა განიხილებოდეს ESR S 2-ით დადგენილ ინფორმაციის გამჟღავნების იმ მოთხოვნებთან ერთად, რომლებიც ეხება სტრატეგიას. ამ მოთხოვნების შესაბამისი ინფორმაცია წარდგენილი უნდა იყოს ESR S 2-ით მოთხოვნილ ინფორმაციასთან ერთად, გარდა SBM-3 ნაწილის – „*არსებითი ზემოქმედება, რისკები და შესაძლებლობები და მათი ურთიერთქმედება სტრატეგიასა და ბიზნესმოდელთან*“ – შესაბამისი ინფორმაციის, რომლის გამჟღავნება საწარმოს შეუძლია ასევე თემატურ ინფორმაციასთან ერთად.

სტრატეგია

ESRS 2-ის SBM-2 ნაწილთან – „დაინტერესებულ მხარეთა ინტერესები და მოსაზრებები“ – დაკავშირებული ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნა

9. ESRS 2-ის SBM 2 ნაწილის 43-ე პუნქტის მოთხოვნების შესრულებისას საწარმომ უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია იმის შესახებ, როგორ შეუძლია მას არსებითი ზემოქმედების მოხდენა მის **ღირებულებათა ჯაჭვში მომუშავეთა** ინტერესებზე, მოსაზრებებსა და უფლებებზე, მათ შორის, როგორ ხდება მათი უფლებების დაცვა და ასევე მათთვის ინფორმაციის მიწოდება საწარმოს სტრატეგიისა და ბიზნესმოდელის შესახებ. ღირებულებათა ჯაჭვში მომუშავეები ზემოქმედების ქვეშ მყოფი **დაინტერესებული მხარეების** ერთ-ერთი ძირითადი ჯგუფია.

ESRS 2-ის SBM-3-ნაწილთან – „არსებითი ზემოქმედება, რისკები და შესაძლებლობები და მათი ურთიერთქმედება სტრატეგიასა და ბიზნესმოდელთან“ – დაკავშირებული ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნა

10. ESRS 2-ის SBM 3 ნაწილის 48-ე პუნქტის მოთხოვნების შესრულებისას საწარმომ უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია:

- ა) იმის თაობაზე, **ღირებულებათა ჯაჭვში მომუშავეებზე** ფაქტობრივი და პოტენციური ზემოქმედება, როგორც ეს განსაზღვრულია ESRS 2-ის IRO 1 ნაწილში – „**არსებითი ზემოქმედების, რისკებისა და შესაძლებლობების გამოვლენისა და შეფასების პროცესების აღწერა**“: (i) საწარმოს სტრატეგიიდან და ბიზნესმოდელიდან გამომდინარეობს თუ არა და როგორ, ან დაკავშირებულია თუ არა საწარმოს სტრატეგიასა და ბიზნესმოდელთან და როგორ და (ii) გაითვალისწინება და ხელს უწყობს თუ არა საწარმოს სტრატეგიისა და ბიზნესმოდელის ადაპტაციას; და
- ბ) ურთიერთკავშირის შესახებ, ერთი მხრივ, **ღირებულებათა ჯაჭვში** მომუშავეებზე ზემოქმედებისა და **დამოკიდებულების** შედეგად წარმოქმნილ საწარმოს არსებით რისკებსა და შესაძლებლობებს და, მეორე მხრივ, მის სტრატეგიასა და ბიზნესმოდელს შორის.

11. ESRS 2-ის SBM 3 ნაწილის 48-ე პუნქტის მოთხოვნების შესრულებისას საწარმომ უნდა მიუთითოს, ESRS 2-ის შესაბამისად გამჟღავნებული ინფორმაცია მოიცავს თუ არა **ღირებულებათა ჯაჭვში მომუშავე ყველა პირს**, რომელზეც შესაძლოა განხორციელდეს საწარმოს მხრიდან არსებითი ზემოქმედება, მათ შორის საწარმოს საკუთარ ოპერაციებსა და ღირებულებათა ჯაჭვთან დაკავშირებული ზემოქმედება, მათ შორის მისი პროდუქციის ან მომსახურების და ასევე საქმიანი ურთიერთობების მეშვეობით. გარდა ამისა, საწარმომ უნდა წარმოადგინოს შემდეგი ინფორმაცია:

- ა) ღირებულებათა ჯაჭვში იმ მომუშავეთა კატეგორიების მოკლე აღწერა, რომელზეც შეიძლება განხორციელდეს საწარმოს მხრიდან არსებითი ზემოქმედება, მათ შორის ისეთი ზემოქმედება, რომელიც დაკავშირებულია საწარმოს საკუთარ ოპერაციებსა და ღირებულებათა ჯაჭვთან, მათ შორის მისი პროდუქციის ან მომსახურების და საქმიანი ურთიერთობის მეშვეობით და მიუთითოს, ვინ არიან ისინი:
 - i მომუშავეები, რომლებიც მუშაობენ საწარმოს **საქმიანობის განხორციელების ადგილას**, მაგრამ არ განეკუთვნებიან მის **საკუთარ სამუშაო ძალას**, ე.ი. რომლებიც არ არიან თვითდასაქმებულები ან ის მომუშავეები, რომლის კანდიდატურა საწარმოს წარუდგინა ძირითადად დასაქმების საქმიანობით დაკავებულმა მესამე მხარემ (ამ საკითხებს ეხება ESRS S1);
 - ii. მომუშავეები, რომლებიც მუშაობენ საწარმოს ალმავალი ღირებულებათა ჯაჭვის სუბიექტებში (მაგ., პირები, რომლებიც დაკავებული არიან ლითონის ან სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებით, ან ნედლეულის დამზადებით, გადამუშავებით, წარმოებით ან დამუშავების სხვა ფორმებით);

- iii. მომუშავეები, რომლებიც მუშაობენ საწარმოს დადმავალი ჯაჭვის სუბიექტებში (მაგ., რომლებიც ჩართული არიან მომწოდებლების ლოჯისტიკურ საქმიანობაში ან დისტრიბუციაში, მუშაობენ ფრანშიზით მომუშავე ან საცალო ვაჭრობის სუბიექტებში);
 - iv. მომუშავეები, რომლებიც მუშაობენ ერთობლივ ან სპეციალური დანიშნულების საწარმოში, რომლის მონაწილეც არის ანგარიშვალდებული საწარმო;
 - v. მომუშავეები, რომლებიც (განეკუთვნებიან წინა კატეგორიებს ან სხვა კატეგორიას) განსაკუთრებით მოწყვლადი არიან უარყოფითი ზემოქმედების მიმართ, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს მათი მახასიათებლებით ან განსაკუთრებული პირობებით, მაგალითად, პროფკავშირებში დასაქმებულები, მიგრანტი მომუშავეები, შინახელოსნები, ქალები ან ახალგაზრდები;
- ბ) მიუთითოს ნებისმიერი გეოგრაფიული რეგიონი, ქვეყნის ან სხვა დონის, ან საქონელი, რომელთანაც მნიშვნელოვანი რისკია დაკავშირებული *ბავშვთა შრომის* ან *იძულებითი შრომის*, ან სავალდებულო შრომის, საწარმოს ღირებულებათა ჯაჭვში მომუშავეებს შორის;¹
- გ) არსებითი უარყოფითი ზემოქმედების შემთხვევაში – იმის აღწერა, ზემოქმედება (i) ფართოდ გავრცელებული ან სისტემური ხასიათისაა თუ არა იმ გარემოში, სადაც საწარმო საქმიანობს ან ახორციელებს შესყიდვებს ან სხვა სახის *საქმიანი ურთიერთობა* აქვს (მაგ., *ბავშვთა შრომა* ან *იძულებითი შრომა* კონკრეტული საქონლის *მიწოდების ჯაჭვში*, კონკრეტულ ქვეყნებში ან რეგიონებში), თუ (ii) დაკავშირებულია ინდივიდუალურ *ინციდენტებთან* (როგორც არის, მაგალითად სამუშაოსთან დაკავშირებული რაიმე ინციდენტი ან ნავთობის დაღვრა) ან კონკრეტულ საქმიან ურთიერთობებთან. ეს მოიცავს *ღირებულებათა ჯაჭვში მომუშავეებთან* დაკავშირებული ისეთი ზემოქმედების განხილვას, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს უფრო მწვანე და კლიმატნიკურ საქმიანობაზე გადასვლით. ამგვარ პოტენციურ ზემოქმედებას მიეკუთვნება ინოვაციებსა და რესტრუქტურისაციასთან, მალაროების დახურვასთან, მდგრად ეკონომიკაზე გადასვლისთვის აუცილებელი წიაღისეულის მოპოვების გაზრდასა და ასევე მზის პანელების წარმოებასთან დაკავშირებული ზემოქმედება;
- დ) დადებითი არსებითი ზემოქმედების შემთხვევაში – იმ საქმიანობების მოკლე აღწერა, რომლებიც იწვევს დადებით ზემოქმედებას (მაგ., შესყიდვების თანამედროვე მეთოდები, მიწოდების ჯაჭვში მომუშავეთა შესაძლებლობების/უნარების განვითარება), მათ შორის სამუშაო ძალისთვის მუშობის შესაძლებლობების შექმნა, მაგალითად სამუშაო ადგილების შექმნა და მომუშავეთა კვალიფიკაციის ამაღლება „სამართლიანი გადასვლის“ კონტექსტში, ასევე ღირებულებათა ჯაჭვში იმ მომუშავეთა კატეგორიების აღწერა, რომლებზეც ეს დადებითად მოქმედებს ან შეიძლება დადებითად იმოქმედოს. გარდა ამისა, საწარმოს შეუძლია ინფორმაციის გამჟღავნება იმის თაობაზეც, დადებითი ზემოქმედება კონკრეტულ ქვეყნებში ან რეგიონებში ხორციელდება თუ არა; და
- ე) ნებისმიერი არსებითი რისკი და შესაძლებლობა, რომელიც საწარმოსთვის წარმოიქმნება ღირებულებათა ჯაჭვში მომუშავეებზე ზემოქმედებისა და *დამოკიდებულების* შედეგად.
12. **ღირებულებათა ჯაჭვში მომუშავეთა** იმ ძირითადი კატეგორიების აღწერისას, რომლებზეც ხორციელდება ან შეიძლება განხორციელდეს უარყოფითი ზემოქმედება ESRS 2-ის IRO-1 ნაწილში აღწერილი *არსებითობის* შეფასების საფუძველზე, საწარმომ უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია იმის თაობაზე, ცნობილია თუ არა მისთვის, რომ ზიანის უფრო დიდი რისკის ქვეშ შეიძლება აღმოჩნდნენ ამა თუ იმ კონკრეტული მახასიათებლების მქონე მომუშავეები, მომუშავეები, რომლებიც გარკვეულ პირობებში მუშაობენ ან გარკვეული საქმიანობით არიან დაკავებული, ხოლო თუ ცნობილია – როგორ შეიტყო.

1. ეს ინფორმაცია შეესაბამება საფინანსო ბაზრის იმ მონაწილეთა საინფორმაციო საჭიროებებს, რომლებზეც ვრცელდება (EU) 2019/2088 რეგულაცია, ვინაიდან გამომდინარეობს ძირითად უარყოფით ზემოქმედებასთან დაკავშირებული დამატებითი მაჩვენებლებიდან, რომელიც დადგენილია მდგრადი ინვესტიციების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნების წესების შესახებ (EU) 2022/1288 კომისიის დელეგირებული რეგულაციის (Commission Delegated Regulation (EU) 2022/1288) I დანართის III ცხრილში მოცემული #12 და #13 მაჩვენებლებით („ოპერაციები და მომწოდებლები, რომლებთანაც ბავშვთა შრომის შემთხვევების მნიშვნელოვანი რისკია დაკავშირებული“ (“Operations and suppliers at significant risk of incidents of child labour”) და „ოპერაციები და მომწოდებლები, რომლებთანაც იძულებითი ან სავალდებულო შრომის შემთხვევების მნიშვნელოვანი რისკია დაკავშირებული“ (“Operations and suppliers at significant risk of incidents of forced or compulsory labour”).

13. საწარმომ უნდა გაამყლავნოს ინფორმაცია იმის შესახებ (თუ ასეთი არსებობს), მის *ღირებულებათა ჯაჭვში მომუშავეებზე ზემოქმედებისა* და *დამოკიდებულების* შედეგად წარმოქმნილი საწარმოს არსებითი *რისკებიდან* და *შესაძლებლობებიდან* რომელია დაკავშირებული ღირებულებათა ჯაჭვში მომუშავეთა სპეციფიკურ ჯგუფებთან (მაგალითად, გარკვეული ასაკობრივი ჯგუფები, კონკრეტულ ქარხანაში ან ქვეყანაში მომუშავეები) და არა ღირებულებათა ჯაჭვში ყველა მომუშავესთან.

ზემოქმედების, რისკისა და შესაძლებლობის მართვა

ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნა S2-1 – „ღირებულებათა ჯაჭვში მომუშავეებთან დაკავშირებული პოლიტიკები“

14. საწარმომ უნდა აღწეროს პოლიტიკა, რომელიც დადგენილი აქვს ღირებულებათა ჯაჭვში მომუშავეებზე არსებითი ზემოქმედებისა და ასევე დაკავშირებული არსებითი რისკებისა და შესაძლებლობების მართვისთვის.
15. ინფორმაციის გამჟღავნების ზემოაღნიშნული მოთხოვნის მიზანია, მომხმარებლებმა ნათელი წარმოდგენა შეიქმნან იმის შესახებ, რა მასშტაბის/დონის არის საწარმოს პოლიტიკა, რომელიც კონკრეტულად დაკავშირებულია *ღირებულებათა ჯაჭვში მომუშავეებზე* მისი არსებითი *ზემოქმედების* გამოვლენასთან, შეფასებასთან, მართვასთან ან/და *რემედიაციასთან* და ასევე პოლიტიკა, რომელიც ღირებულებათა ჯაჭვში მომუშავეებთან დაკავშირებულ არსებით *რისკებს* ან *შესაძლებლობებს* ეხება.
16. მე-14 პუნქტით მოთხოვნილი ინფორმაცია უნდა მოიცავდეს ESRS 2-ის MDR-P ნაწილის – „*მდგრადობის არსებითი საკითხების მართვის მიზნით შემოღებული პოლიტიკები*“ – შესაბამისად გამჟღავნებულ ინფორმაციას საწარმოს იმ პოლიტიკის შესახებ, რომელიც ეხება *ღირებულებათა ჯაჭვში მომუშავეებთან* დაკავშირებული არსებითი ზემოქმედების, რისკებისა და შესაძლებლობების მართვას. გარდა ამისა, საწარმომ უნდა მიუთითოს, ამგვარი პოლიტიკა *ღირებულებათა ჯაჭვში მომუშავეთა* კონკრეტულ ჯგუფებზე ვრცელდება თუ ყველა მომუშავეზე.
17. საწარმომ უნდა აღწეროს ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული თავისი *პოლიტიკის* ის ვალდებულებები², რომლებიც *ღირებულებათა ჯაჭვში მომუშავეებს* ეხება, მათ შორის, პროცესები და მექანიზმები, რომლებიც განკუთვნილია „ბიზნესისა და ადამიანის უფლებების შესახებ გაეროს სახელმძღვანელო პრინციპების“, „შრომის სფეროში ძირითადი პრინციპებისა და უფლებების შესახებ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) დეკლარაციის“ ან „მულტინაციონალური საწარმოებისთვის ეთგოს (OECD) სახელმძღვანელო მითითებების“³ დაცვაზე მონიტორინგის განსახორციელებლად. ამ ინფორმაციაში საწარმომ ყურადღება უნდა გაამახვილოს ქვემოთ ჩამოთვლილ ასპექტებთან დაკავშირებულ არსებით საკითხებსა და თავის მიდგომაზე:
- ა) ადამიანის უფლებების, მათ შორის, მომუშავეთა შრომითი უფლებების დაცვა;
 - ბ) ურთიერთქმედება ღირებულებათა ჯაჭვში მომუშავეებთან; და
 - გ) ღონისძიებები, რომლებიც მიმართულია ადამიანის უფლებებზე ზემოქმედების *რემედიაციის* უზრუნველყოფაზე ან/და რემედიაციის ხელშეწყობაზე.
18. საწარმომ უნდა მიუთითოს, *ღირებულებათა ჯაჭვში მომუშავეებთან* დაკავშირებული მისი პოლიტიკა

2. ეს ინფორმაცია შეესაბამება საფინანსო ბაზრის იმ მონაწილეთა საინფორმაციო საჭიროებებს, რომლებზეც ვრცელდება (EU) 2019/2088 რეგულაცია, ვინაიდან გამომდინარეობს ძირითად უარყოფით ზემოქმედებასთან დაკავშირებული დამატებითი მაჩვენებლიდან, რომელიც დადგენილია მდგრადი ინვესტიციების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნების წესების შესახებ (EU) 2022/1288 კომისიის დელეგირებული რეგულაციის (Commission Delegated Regulation (EU) 2022/1288) I დანართის III ცხრილში მოცემული #9 მაჩვენებლით („ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული პოლიტიკის არარსებობა“) (“Lack of a human rights policy”).

3. ეს ინფორმაცია შეესაბამება საფინანსო ბაზრის იმ მონაწილეთა საინფორმაციო საჭიროებებს, რომლებზეც ვრცელდება (EU) 2019/2088 რეგულაცია, ვინაიდან გამომდინარეობს ძირითად უარყოფით ზემოქმედებასთან დაკავშირებული სავალდებულო მაჩვენებლიდან, რომელიც დადგენილია მდგრადი ინვესტიციების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნების წესების შესახებ (EU) 2022/1288 კომისიის დელეგირებული რეგულაციის (Commission Delegated Regulation (EU) 2022/1288) I დანართის I ცხრილში მოცემული #11 მაჩვენებლით („გაეროს გლობალური ხელშეკრულების პრინციპებისა და მულტინაციონალური საწარმოების შესახებ ეთგოს სახელმძღვანელო მითითებების დაცვაზე მონიტორინგის განსახორციელებლად განკუთვნილი პროცესებისა და მექანიზმების არარსებობა“) (“Lack of processes and compliance mechanisms to monitor compliance with UN Global Compact principles and OECD Guidelines for Multinational Enterprises”).

ნათლად ითვალისწინებს თუ არა ბრძოლას ადამიანებით ვაჭრობასთან⁴, *იძულებით* ან სავალდებულო *შრომას* და *ბავშვთა შრომასთან*. ასევე უნდა მიუთითოს, აქვს თუ არა საწარმოს *მომწოდებლის* ქცევის კოდექსი⁵.

19. საწარმომ უნდა გაამყდევნოს ინფორმაცია იმის შესახებ, *ღირებულებათა ჯაჭვში მომუშავეებთან* დაკავშირებული მისი პოლიტიკა შეესაბამება თუ არა და რამდენად საერთაშორისოდ აღიარებულ ინსტრუმენტებს/დოკუმენტებს, რომლებიც ეხება ღირებულებათა ჯაჭვში მომუშავეებს, მათ შორის, „ბიზნისისა და ადამიანის უფლებების შესახებ გაეროს სახელმძღვანელო პრინციპებს“⁶. გარდა ამისა, უნდა აღწეროს, რა მოცულობით დაფიქსირდა მის აღმავალ და დადმავალ *ღირებულებათა ჯაჭვში* ღირებულებათა ჯაჭვში მომუშავეებთან დაკავშირებული გაეროს სახელმძღვანელო პრინციპების, შრომის სფეროში ძირითადი პრინციპებისა და უფლებების შესახებ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) დეკლარაციის ან მულტინაციონალური საწარმოებისთვის ეთგოს (OECD) სახელმძღვანელო მითითებების დარღვევის შემთხვევები და, როდესაც შესაფერისია, მიუთითოს ამგვარი შემთხვევების ხასიათი⁷.

ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნა S2-2 – „ღირებულებათა ჯაჭვში მომუშავეებთან ურთიერთქმედების პროცესები საწარმოს ზემოქმედებასთან დაკავშირებით“

20. საწარმომ უნდა აღწეროს საერთო პროცესები, რომლებიც განკუთვნილია ღირებულებათა ჯაჭვში მომუშავეებსა და მათ წარმომადგენლებთან ურთიერთქმედებისთვის მათზე ფაქტობრივ ან პოტენციურ ზემოქმედებასთან დაკავშირებით.
21. ინფორმაციის გამჟღავნების წინამდებარე მოთხოვნის მიზანია, მოხმარებლებმა ნათელი წარმოდგენა შეიქმნან იმის შესახებ, საწარმო, უწყვეტი კომპლექსური შემოწმების პროცესის ფარგლებში, ურთიერთქმედებს თუ არა და როგორ *ღირებულებათა ჯაჭვში მომუშავეებსა* და მათ კანონიერ წარმომადგენლებთან ან *ნდობით აღჭურვილ პირებთან* ისეთ არსებით ფაქტობრივ და პოტენციურ დადებით ან/და უარყოფით ზემოქმედებასთან დაკავშირებით, რომელიც გავლენას ახდენს ან შეიძლება გავლენა მოახდინოს მათზე, ასევე ღირებულებათა ჯაჭვში მომუშავეთა წარმომადგენლების მოსაზრებები გაითვალისწინება თუ არა და როგორ საწარმოს გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში.

4. ეს ინფორმაცია შეესაბამება საფინანსო ბაზრის იმ მონაწილეთა საინფორმაციო საჭიროებებს, რომლებზეც ვრცელდება (EU) 2019/2088 რეგულაცია, ვინაიდან გამომდინარეობს ძირითად უარყოფით ზემოქმედებასთან დაკავშირებული დამატებითი მაჩვენებლიდან, რომელიც დადგენილია მდგრადი ინვესტიციების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნების წესების შესახებ (EU) 2022/1288 კომისიის დელეგირებული რეგულაციის (Commission Delegated Regulation (EU) 2022/1288) I დანართის III ცხრილში მოცემული #11 მაჩვენებლით“ („ადამიანებით ვაჭრობის პრევენციისთვის განკუთვნილი პროცესებისა და ზომების არარსებობა“) (“Lack of processes and measures for preventing trafficking in human beings”).
5. ეს ინფორმაცია შეესაბამება საფინანსო ბაზრის იმ მონაწილეთა საინფორმაციო საჭიროებებს, რომლებზეც ვრცელდება (EU) 2019/2088 რეგულაცია, ვინაიდან გამომდინარეობს ძირითად უარყოფით ზემოქმედებასთან დაკავშირებული დამატებითი მაჩვენებლიდან, რომელიც დადგენილია მდგრადი ინვესტიციების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნების წესების შესახებ (EU) 2022/1288 კომისიის დელეგირებული რეგულაციის (Commission Delegated Regulation (EU) 2022/1288) I დანართის III ცხრილში მოცემული #4 მაჩვენებლით“ („მომწოდებლის ქცევის კოდექსის არარსებობა“) (“Lack of a supplier code of conduct”).
6. ეს ინფორმაცია შეესაბამება შედარებითი ანალიზის ადმინისტრატორების საინფორმაციო საჭიროებებს, გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი (ESG) ფაქტორების გამჟღავნების საკითხში (EU) 2020/1816 რეგულაციის შესაბამისად, როგორც ეს დადგენილია მაჩვენებლით: „შედარების პორტფელის ზემოქმედება კომპანიებზე, რომლებსაც არ გააჩნიათ კომპლექსური შემოწმების პოლიტიკა იმ საკითხებისთვის, რომლებიც განხილულია შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ძირითად კონვენციებში 1-8“, II დანართის 1 და 2 განყოფილებაში.
7. ეს ინფორმაცია შეესაბამება საფინანსო ბაზრის იმ მონაწილეების საინფორმაციო საჭიროებებს, რომლებზეც ვრცელდება (EU) 2019/2088 რეგულაცია, ვინაიდან გამომდინარეობს ძირითად უარყოფით ზემოქმედებასთან დაკავშირებული სავალდებულო მაჩვენებლიდან, რომელიც დადგენილია მდგრადი ინვესტიციების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნების წესების შესახებ (EU) 2022/1288 კომისიის დელეგირებული რეგულაციის (Commission Delegated Regulation (EU) 2022/1288) I დანართის I ცხრილში მოცემული #10 მაჩვენებლით“ და ასევე შედარებითი ანალიზის ადმინისტრატორების საინფორმაციო საჭიროებებს, გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი (ESG) ფაქტორების გამჟღავნების საკითხში (EU) 2020/1816 რეგულაციის შესაბამისად, როგორც ეს დადგენილია შემდეგი მაჩვენებლებით: „შესადარებელი კომპონენტების რაოდენობა, რომლებზეც ვრცელდება სოციალური დარღვევები (აბსოლუტური და ფარდობითი რიცხვი, გაყოფილი ყველა შესადარებელ კომპონენტზე), როგორც მითითებულია საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და კონვენციებში, გაეროს პრინციპებში და, შესაბამის შემთხვევაში, ადგილობრივ კანონმდებლობაში“ და „შედარების პორტფელის ზემოქმედება კომპანიებზე, რომლებსაც არ გააჩნიათ კომპლექსური შემოწმების პოლიტიკა იმ საკითხებისთვის, რომლებიც განხილულია შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ძირითად კონვენციებში 1-8“, II დანართის 1 და 2 განყოფილებაში.

22. საწარმომ უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია იმის თაობაზე, *ღირებულებათა ჯაჭვში მომუშავეთა* მოსახრებები გავლენას ახდენს თუ არა და როგორ საწარმოს იმ გადაწყვეტილებებზე ან ქმედებებზე, რომლებიც მიმართულია ღირებულებათა ჯაჭვში მომუშავეებზე მისი ფაქტობრივი და პოტენციური ზემოქმედების მართვაზე. შესაბამის შემთხვევაში, ეს ინფორმაცია უნდა მოიცავდეს შემდეგი საკითხების ახსნას:
- ა) ღირებულებათა ჯაჭვში მომუშავეებთან ან მათ *კანონიერ წარმომადგენლებთან* ურთიერთქმედება პირდაპირ ხორციელდება თუ *ნდობით აღჭურვილი პირების* მეშვეობით, რომელთათვისაც ცნობილია მათი სიტუაცია;
 - ბ) სტადია (სტადიები), როდესაც ხორციელდება ურთიერთქმედება, ურთიერთქმედების ტიპი და სიხშირე;
 - გ) საწარმოში არსებული ფუნქცია და ყველაზე მაღალი თანამდებობა, რომელსაც ოპერატიული პასუხისმგებლობა ეკისრება ამ ურთიერთქმედების უზრუნველყოფასა და იმაზე, რომ შედეგები ასახავდეს საწარმოს მიდგომას;
 - დ) როდესაც შესაფერისია, გლობალური ჩარჩო-შეთანხმებების ან იმ შეთანხმებების აღწერა, რომლებიც საწარმოს გაფორმებული აქვს პროფკავშირების გლობალურ ფედერაციებთან ღირებულებათა ჯაჭვში მომუშავეთა უფლებების, მათ შორის, კოლექტიური მოლაპარაკებების წარმართვის მათი უფლების დაცვასთან დაკავშირებით, ასევე იმის ახსნა, ესა თუ ის კონკრეტული შეთანხმება როგორ აძლევს საწარმოს იმის შესაძლებლობას, რომ წარმოდგენა შეიქმნას ამ მომუშავეთა მოსახრებების შესახებ; და
 - ე) როდესაც შესაფერისია, როგორ აფასებს საწარმო ღირებულებათა ჯაჭვში მომუშავეებთან თავისი ურთიერთქმედების ეფექტიანობას, მათ შორის, ამა თუ იმ შეთანხმებას ან შეთანხმებით მიღწეულ შედეგს (ამგვარი შეთანხმებების არსებობის შემთხვევაში).
23. როდესაც შესაფერისია, საწარმომ უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია იმ ქმედებების შესახებ, რომელთაც იყენებს ინფორმაციის მოსაპოვებლად იმ მომუშავეთა მოსახრებების შესახებ, რომლებიც შესაძლოა ზემოქმედების მიმართ განსაკუთრებით მოწყვლადი იყვნენ ან/და მარგინალურები (მაგალითად, მომუშავე ქალები, მიგრანტი მომუშავეები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მომუშავეები).
24. თუ საწარმოს არ შეუძლია ზემოთ მითითებული სავალდებულო ინფორმაციის გამჟღავნება იმის გამო, რომ დადგენილი არა აქვს ღირებულებათა ჯაჭვში მომუშავეებთან ურთიერთქმედების საერთო პროცესი, მან უნდა უნდა გაამჟღავნოს თავად ეს ფაქტი. საწარმოს შეუძლია მიუთითოს ვადები, რომლის განმავლობაშიც განზრახული აქვს ამ პროცესის დანერგვა.

ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნა S2-3 – „უარყოფითი ზემოქმედების რემედიაციის პროცესები და არხები, რომლის მეშვეობით ღირებულებათა ჯაჭვში მომუშავეებს შეუძლიათ თავიანთი პრობლემების შესახებ საწარმოს ინფორმირება“

25. საწარმომ უნდა აღწეროს პროცესები, რომლებიც დანერგილი აქვს ღირებულებათა ჯაჭვში იმ მომუშავეებზე უარყოფითი ზემოქმედების რემედიაციის უზრუნველსაყოფად ან რემედიაციაში თანამშრომლობისთვის, რომელთანაც დაკავშირებულია საწარმო, ასევე ღირებულებათა ჯაჭვში მომუშავეთათვის ხელმისაწვდომი არხები, რომლის მეშვეობით მათ შეუძლიათ თავიანთი პრობლემების შესახებ საწარმოს ინფორმირება და მათი მოგვარება.
26. ინფორმაციის გამჟღავნების წინამდებარე მოთხოვნის მიზანია, მომხმარებლებმა ნათელი წარმოდგენა შეიქმნან იმ ფორმალური საშუალებების შესახებ, რომლის მეშვეობით *ღირებულებათა ჯაჭვში მომუშავეებს* შეუძლიათ უშუალოდ საწარმოს აცნობონ თავიანთი პრობლემებისა და საჭიროებების შესახებ ან/და რომლის მეშვეობით საწარმო ხელს უწყობს ასეთ არხებთან (მაგალითად, *საჩივრების მართვის მექანიზმებთან*) წვდომას ღირებულებათა ჯაჭვში მომუშავეთა სამუშაო ადგილებზე, როგორ ხორციელდება კონტროლი ამ მომუშავეთა მიერ წამოჭრილი პრობლემების მოგვარებასა და ასევე ამ არხების ეფექტიანობაზე.

27. საწარმომ უნდა აღწეროს:

- ა) საერთო მიდგომა და პროცესები, რომლებიც განკუთვნილია **რემედიაციის** ზომების გასატარებლად ან ამ ზომებში მონაწილეობის მისაღებად, თუ საწარმომ გამოიწვია ან ხელი შეუწყო **ღირებულებათა ჯაჭვში მომუშავეებზე** არსებით უარყოფით ზემოქმედებას, მათ შორის, საწარმო აფასებს თუ არა და როგორ გატარებული რემედიაციის ზომების ქმედითობას;
- ბ) ნებისმიერი კონკრეტული არხი, რომელიც საწარმოს აქვს იმისთვის, რომ ღირებულებათა ჯაჭვში მომუშავეებმა უშუალოდ მას აცნობონ თავიანთი პრობლემების ან საჭიროებების შესახებ და მოუგვაროს ისინი, მათ შორის, თვითონ საწარმოს მიერ არის თუ არა შექმნილი ეს არხები ან/და მესამე მხარეთა მიერ შექმნილ მექანიზმებში ჩართულობითა;
- გ) პროცესები, რომლის მეშვეობით ღირებულებათა ჯაჭვში მომუშავეთა სამუშაო ადგილებზე საწარმო ხელს უწყობს ასეთი არხების შექმნას ან მოითხოვს ასეთი არხების არსებობას; და
- დ) როგორ ახორციელებს საწარმო დაყენებულ პრობლემებსა და მათი მოგვარების მდგომარეობაზე თვალყურის დევნებას და მონიტორინგს და როგორ უზრუნველყოფს ამ არხების ეფექტიანობას, მათ შორის იმ დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით, რომლებიც გამიზნული **მომხმარებლები** არიან.

28. საწარმომ უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია იმის შესახებ, ის აფასებს/ადგენს თუ არა და როგორ იმას, რომ **ღირებულებათა ჯაჭვში მომუშავეთათვის** ცნობილია ეს სტრუქტურები ან პროცესები და ენდობიან მათ, როგორც თავიანთი პრობლემების ან საჭიროებების ინფორმირებისა და მოგვარების მექანიზმებს. გარდა ამისა, საწარმომ უნდა მიუთითოს, აქვს თუ არა მას შურისგების აქტისგან იმ პირთა დაცვის პოლიტიკა, რომლებიც ამ მექანიზმებს იყენებენ. თუ ასეთი ინფორმაცია საწარმოს უკვე გამჟღავნებული აქვს ESRS G1-1-ის შესაბამისად, მას შეუძლია მიუთითოს ეს ინფორმაცია.

29. თუ საწარმოს არ შეუძლია ზემოთ მითითებული სავალდებულო ინფორმაციის გამჟღავნება იმის გამო, რომ მას არა აქვს შექმნილი არხი პრობლემების შესახებ ინფორმირებისთვის ან/და იგი ხელს არ უწყობს ასეთი არხის შექმნას **ღირებულებათა ჯაჭვში მომუშავეთა** სამუშაო ადგილებზე, მაშინ მან უნდა გაამჟღავნოს თავად ეს ფაქტი. საწარმოს შეუძლია მიუთითოს ვადა, რომლის განმავლობაშიც განზრახული აქვს ასეთი არხის ან პროცესების დანერგვა.

ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნა S2-4 – „ზომების მიღება ღირებულებათა ჯაჭვში მომუშავეებზე არსებით ზემოქმედებასთან დაკავშირებით, ასევე ღირებულებათა ჯაჭვში მომუშავეებთან დაკავშირებული არსებითი რისკების მართვისა და არსებითი შესაძლებლობების გამოყენების მიდგომები და ამ ქმედებების ეფექტიანობა“

30. საწარმომ უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია იმის თაობაზე, როგორ ატარებს ის ზომებს ღირებულებათა ჯაჭვში მომუშავეებზე არსებითი ზემოქმედების აღმოსაფხვრელად და ღირებულებათა ჯაჭვში მომუშავეებთან დაკავშირებული არსებითი რისკების მართვისა და არსებითი შესაძლებლობების გამოყენებისთვის, ასევე ამ ქმედებების ეფექტიანობის შესახებ.

31. ინფორმაციის გამჟღავნების ზემოაღნიშნულ მოთხოვნას ორმაგი მიზანი აქვს. პირველი, ამ ინფორმაციამ მომხმარებლებს საშუალება უნდა მისცეს, ნათელი წარმოდგენა შეიქმნან საწარმოს იმ ქმედებებისა და ინიციატივების შესახებ, რომლის მეშვეობითაც ის ცდილობს:

- ა) **ღირებულებათა ჯაჭვში მომუშავეებზე** უარყოფითი არსებითი **ზემოქმედების** პრევენციას, შერბილებასა და **რემედიაციას**; ან/და
- ბ) მიაღწიოს ღირებულებათა ჯაჭვში მომუშავეებზე დადებით არსებით ზემოქმედებას.

მეორე, ამ ინფორმაციის მეშვეობით მომხმარებლებისთვის გასაგები უნდა გახდეს, როგორ რეაგირებს საწარმო **ღირებულებათა ჯაჭვში მომუშავეებთან** დაკავშირებულ არსებით **რისკებზე** და როგორ იყენებს **ღირებულებათა ჯაჭვში მომუშავეებთან** დაკავშირებულ არსებით **შესაძლებლობებს**.

საწარმომ ESRS 2-ის MDR-A ნაწილის – „*მდგრადობის არსებით საკითხებთან დაკავშირებული ქმედებები და რესურსები*“ – შესაბამისად უნდა წარმოადგინოს სამოქმედო გეგმებისა და იმ რესურსების მოკლე აღწერა, რომლებიც გამიზნულია *ღირებულებათა ჯაჭვში მომუშავეებთან* დაკავშირებული არსებითი ზემოქმედების, რისკებისა და შესაძლებლობების მართვისთვის.

32. არსებით *ზემოქმედებასთან* დაკავშირებით საწარმომ უნდა აღწეროს:

- ა) უკვე განხორციელებული, დაგეგმილი ან განხორციელების პროცესში მყოფი ქმედებები, რომლებიც მიმართულია *ღირებულებათა ჯაჭვში მომუშავეებზე* უარყოფითი არსებითი ზემოქმედების პრევენციაზე ან შერბილებაზე;
- ბ) გაატარა თუ არა რაიმე ზომები და როგორ არსებითი ფაქტობრივი ზემოქმედების *რემედიაციისთვის* ან *რემედიაციის* ხელშეწყობის მიზნით;
- გ) ნებისმიერი დამატებითი *ქმედება* ან თავისი ინიციატივა, რომლის ძირითადი მიზანია ღირებულებათა ჯაჭვში მომუშავეებზე დადებითი ზემოქმედების განხორციელება; და
- დ) როგორ ახორციელებს ის ამ *ქმედებებისა* და ინიციატივების ეფექტიანობაზე თვალყურის დევნებას და მის შეფასებას, ღირებულებათა ჯაჭვში მომუშავეთათვის დასახული შედეგების მიღწევის კუთხით.

33. 30-ე პუნქტთან დაკავშირებით საწარმომ უნდა აღწეროს:

- ა) პროცესები, რომლის მეშვეობითაც განსაზღვრავს, რა ქმედებებია აუცილებელი და შესაფერისი *ღირებულებათა ჯაჭვში მომუშავეებთან* დაკავშირებულ კონკრეტულ ფაქტობრივ ან პოტენციურ უარყოფით ზემოქმედებაზე რეაგირებისთვის;
- ბ) მიდგომა, რომელსაც იყენებს ამა თუ იმ ქმედების განსახორციელებლად ღირებულებათა ჯაჭვში მომუშავეებზე კონკრეტულ არსებით უარყოფით ზემოქმედებასთან დაკავშირებით, მათ შორის ნებისმიერი *ქმედება*, რომელიც დაკავშირებულია მის შესყიდვების ან სხვა შიდა პროცესთან, ასევე ღირებულებათა ჯაჭვში შემავალი სუბიექტების შესაძლებლობების/უნარების განვითარება ან მათთან სხვა ფორმის ურთიერთქმედება, ან საწარმოსა და იმავე დარგის სხვა სუბიექტების ან სხვა შესაფერისი მხარეების ერთობლივი ქმედების ფორმები; და
- გ) როგორ უზრუნველყოფს ის, რომ არსებითი უარყოფითი ზემოქმედების შემთხვევაში *რემედიაციის* ან *რემედიაციის* ხელშეწყობისთვის განკუთვნილი პროცესები ხელმისაწვდომი იყოს, ხოლო რეალიზებისა და შედეგების თვალსაზრისით – ქმედითი.

34. არსებით რისკებსა და შესაძლებლობებთან დაკავშირებით საწარმომ უნდა აღწეროს:

- ა) რა ქმედებები იგეგმება ან ხორციელდება საწარმოს არსებითი რისკების შესარბილებლად, რომლებიც წარმოიშობა *ღირებულებათა ჯაჭვში მომუშავეებზე* მისი ზემოქმედებისა და *დამოკიდებულების* შედეგად და როგორ უზრუნველყოფს ის პრაქტიკაში მათ ეფექტიანობაზე თვალყურის დევნებას; და
- ბ) რა ქმედებები იგეგმება ან ხორციელდება ღირებულებათა ჯაჭვში მომუშავეებთან დაკავშირებული საწარმოს არსებითი შესაძლებლობების გამოყენებისთვის.

35. საწარმომ უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია იმის თაობაზე, ატარებს თუ არა ის რაიმე ზომებს და როგორ იმისთვის, რომ თავიდან აიცილოს *ღირებულებათა ჯაჭვში მომუშავეებზე* არსებითი უარყოფითი ზემოქმედების წარმოქმნა ან ამგვარი ზემოქმედების ხელშეწყობა საკუთარი ბიზნესმიდგომების მეშვეობით, მათ შორის, როდესაც შესაფერისია, რომლებიც დაკავშირებულია შესყიდვებთან, რეალიზაციასა და მონაცემების გამოყენებასთან. ეს ინფორმაცია შეიძლება მოიცავდეს იმ მიდგომის აღწერას, რომელსაც საწარმო იმ შემთხვევაში იყენებს, როდესაც წინააღმდეგობა წარმოიქმნება არსებითი უარყოფითი ზემოქმედების პრევენციას ან შერბილებასა და ბიზნესის მხრიდან სხვა ზეწოლას შორის.

36. გარდა ამისა, საწარმომ უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია იმის შესახებ, მას აცნობეს თუ არა მის აღმავალ და დაღმავალ **ღირებულებათა ჯაჭვში** ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული სერიოზული პრობლემებისა და **ინციდენტების** შესახებ, ხოლო თუ ასეა, უნდა გაამჟღავნოს ეს ინფორმაცია.⁸
37. თუ საწარმო ამა თუ იმ ქმედების ეფექტიანობას სამიზნე მაჩვენებლის დადგენის მეშვეობით აფასებს, მან 32(გ) პუნქტით მოთხოვნილი ინფორმაციის გამჟღავნებისას უნდა გაითვალისწინოს ESRS 2-ის MDR-T ნაწილის – „**პოლიტიკებისა და ქმედებების ეფექტიანობისთვის თვალყურის დევნება** სამიზნე მაჩვენებლების საშუალებით“ – მოთხოვნები.
38. საწარმომ უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია მისი არსებითი ზემოქმედების მართვისთვის გამოყოფილი რესურსების შესახებ, ასევე ნებისმიერი სხვა ინფორმაცია, რომლის მეშვეობით **მომხმარებლები** ნათელ წარმოდგენას შეიქმნიან იმის თაობაზე, როგორ მართავს საწარმო არსებით ზემოქმედებას.

მდგრადობის მაჩვენებლები და სამიზნე მაჩვენებლები

ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნა S2-5 – „არსებითი უარყოფითი ზემოქმედების მართვასთან, დადებითი ზემოქმედების გაუმჯობესებასა და არსებითი რისკებისა და შესაძლებლობების მართვასთან დაკავშირებული სამიზნე მაჩვენებლები“

39. საწარმომ უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია დროით შეზღუდული და შედეგზე ორიენტირებული სამიზნე მაჩვენებლების შესახებ, რომლებიც შესაძლოა დადგენილი აქვს შემდეგ ასპექტებთან მიმართებით:
 - ა) ღირებულებათა ჯაჭვში მომუშავეებზე არსებითი უარყოფითი ზემოქმედების შემცირება; ან/და
 - ბ) ღირებულებათა ჯაჭვში მომუშავეებზე დადებითი ზემოქმედების გაუმჯობესება; ან/და
 - გ) ღირებულებათა ჯაჭვში მომუშავეებთან დაკავშირებული არსებითი რისკებისა და შესაძლებლობების მართვა.
40. ინფორმაციის გამჟღავნების წინამდებარე მოთხოვნის მიზანია, მომხმარებლებმა ნათელი წარმოდგენა შეიქმნან იმის შესახებ, როგორ იყენებს საწარმო დროით შეზღუდულ და შედეგზე ორიენტირებულ **სამიზნე მაჩვენებლებს** არსებითი უარყოფითი ზემოქმედების აღმოფხვრის სტიმულირებისა და ამ კუთხით მიღწეული პროგრესის გასაზომად, ან/და ღირებულებათა ჯაჭვში მომუშავეებზე დადებითი ზემოქმედების გასაუმჯობესებლად, ან/და **ღირებულებათა ჯაჭვში** მომუშავეებთან დაკავშირებული არსებითი რისკებისა და შესაძლებლობების მართვისთვის.
41. **ღირებულებათა ჯაჭვში მომუშავეებთან** დაკავშირებული საწარმოს არსებითი ზემოქმედების, რისკებისა და შესაძლებლობების მართვისთვის განკუთვნილი **სამიზნე მაჩვენებლების** მოკლე აღწერა უნდა მოიცავდეს ESRS 2-ის MDR-T ნაწილის მოთხოვნების შესაბამის ინფორმაციას.
42. საწარმომ უნდა აღწეროს **სამიზნე მაჩვენებლების** დასადგენად გამოყენებული პროცესი, მათ შორის, უშუალოდ ურთიერთქმედება თუ არა მის ღირებულებათა ჯაჭვში მომუშავეებთან, მათ კანონიერ წარმომადგენლებთან ან **ნდობით აღჭურვილ პირებთან**, რომელთათვისაც ცნობილია მათი სიტუაცია, ხოლო თუ ასეა – როგორ, შემდეგ შემთხვევებში:
 - ა) რომელიმე ამგვარი სამიზნე მაჩვენებლების დადგენისას;
 - ბ) მათ შესრულებაში მიღწეულ შედეგებზე თვალყურის დევნებისას; და

8. ეს ინფორმაცია შეესაბამება საფინანსო ბაზრის იმ მონაწილეთა საინფორმაციო საჭიროებებს, რომლებზეც ვრცელდება (EU) 2019/2088 რეგულაცია, ვინაიდან გამომდინარეობს ძირითად უარყოფით ზემოქმედებასთან დაკავშირებული დამატებითი მაჩვენებლიდან, რომელიც დადგენილია მდგრადი ინვესტიციების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნების წესების შესახებ (EU) 2022/1288 კომისიის დელეგირებული რეგულაციის (Commission Delegated Regulation (EU) 2022/1288) I დანართის III ცხრილში მოცემული #14 მაჩვენებლით („ადამიანის უფლებების სერიოზული დარღვევების გამოვლენილი შემთხვევებისა და ინციდენტების რაოდენობა“) (“Number of identified cases of severe human rights issues and incidents”).

- გ) საწარმოს საქმიანობის შედეგად გამოტანილი ნებისმიერი გაკვეთილის ან გაუმჯობესების დადგენისას, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

დანართი ა: გამოყენების მოთხოვნები

წინამდებარე დანართი ESRS S2-ის „ღირებულებათა ჯაჭვში მომუშავეები“ – განუყოფელი ნაწილია. იგი ხელს უწყობს წინამდებარე სტანდარტით დადგენილი ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნების პრაქტიკაში გამოყენებას და იგივე ძალა აქვს, რაც ESRS S2-ის დანარჩენ ნაწილებს.

მიზანი

- გმ1. მე-2 პუნქტში ჩამოთვლილი საკითხების გარდა, საწარმოს შეუძლია ასევე გაითვალისწინოს ინფორმაციის გამჟღავნება სხვა საკითხების შესახებაც, რომლებიც არსებით ზემოქმედებასთან დაკავშირებულია შედარებით მოკლე პერიოდში, მაგალითად, ინიციატივები/ღონისძიებები, რომლებიც ეხება **ღირებულებათა ჯაჭვში მომუშავეთა** ჯანმრთელობასა და შრომის უსაფრთხოებას პანდემიის პერიოდში.
- გმ2. მე-2 პუნქტში მოცემული სოციალური და ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული საკითხების მიმოხილვა არ გულისხმობს იმას, რომ ყველა ამ საკითხის შესახებ ცალ-ცალკე უნდა იყოს გამჟღავნებული ინფორმაცია წინამდებარე სტანდარტის ინფორმაციის გამჟღავნების ყველა მოთხოვნის მიხედვით. სინამდვილეში, ეს იმ საკითხების ჩამონათვალია, რომლებიც საწარმომ უნდა გაითვალისწინოს ღირებულებათა ჯაჭვში მომუშავეებთან დაკავშირებული **არსებითობის** შეფასებისას (იხ. ESRS 1-ის მე-3 თავი – „ორმაგი არსებითობა“, რის საფუძველზეც მჟღავნდება მდგრადობის შესახებ ინფორმაცია და ESRS 2-ის ნაწილი IRO-1) და შემდეგ გაამჟღავნოს ინფორმაცია იმ არსებითი ზემოქმედების, რისკებისა და შესაძლებლობების შესახებ, რომლებიც განეკუთვნება წინამდებარე სტანდარტის მოქმედების სფეროს.
- გმ3. წინამდებარე სტანდარტის მოქმედების სფეროს განეკუთვნება შემდეგი მომუშავეები:
- ა) აუთოსორსინგული მომსახურების სუბიექტებში მომუშავეები, რომლებიც მუშაობენ საწარმოს სამუშაო ადგილზე (მაგალითად, მესამე მხარეთა საზვევების ობიექტებში ან უსაფრთხოების სამსახურში მომუშავეები);
 - ბ) საწარმოს მიერ კონტრაქტით მოწვეული **მომწოდებლის** მომუშავეები, რომლებიც მომწოდებლის შენობებში მუშაობენ მისივე სამუშაო მეთოდებით;
 - გ) „დაღმავალი ჯაჭვის“ იმ სუბიექტის მომუშავეები, რომლებიც საწარმოსგან ყიდულობენ საქონელს ან მომსახურებას;
 - დ) საწარმოსთვის მოწყობილობების მომწოდებელი სუბიექტის მომუშავეები, რომლებიც საწარმოს მიერ კონტროლირებულ სამუშაო ადგილებზე ასრულებენ მომწოდებლის მოწყობილობის (მაგ., ფოტოპირგადასაღები აპარატის) რეგულარულ ტექნომომსახურებას, როგორც გათვალისწინებულია მოწყობილობის მომწოდებელ სუბიექტსა და საწარმოს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით; და
 - ე) მომუშავეები, რომლებიც **მიწოდების ჯაჭვში** მიწისქვეშ მუშაობენ ნედლეულის მოსაპოვებლად, რომელიც შემდეგ გადამუშავდება ისეთ კომპონენტებად, რომლებიც გამოიყენება საწარმოს პროდუქციის საწარმოებლად.

ESRS 2 – „ინფორმაციის გამჟღავნების საერთო მოთხოვნები“

სტრატეგია

ESRS 2-ის SBM-2 ნაწილთან – „დაინტერესებულ მხარეთა ინტერესები და მოსაზრებები“ – დაკავშირებული ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნა

- გმ4. ESRS 2-ის SBM-2 ნაწილის ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნის მიზანია, მომხმარებლებმა ნათელი წარმოდგენა შეიქმნან იმის შესახებ, საწარმო განიხილავს და ითვალისწინებს თუ არა და როგორ, რა როლს თამაშობს მისი სტრატეგია და **ბიზნესმოდელი ღირებულებათა ჯაჭვში მომუშავეებზე** მნიშვნელოვანი არსებითი **ზემოქმედების** წარმოქმნაში, გამწვავებაში ან შერბილებაში, ასევე მისი ბიზნესმოდელი და სტრატეგია მიესადაგება თუ არა და როგორ ამგვარი არსებითი ზემოქმედების აღმოფხვრის მიზანს.
- გმ5. მართალია, **ღირებულებათა ჯაჭვში** მომუშავეები შესაძლოა საწარმოსთან არ ურთიერთქმედებდნენ მისი სტრატეგიის ან ბიზნესმოდელის დონეზე, მაგრამ მათმა მოსაზრებებმა შეიძლება გავლენა იქონიოს საწარმოს მიერ თავისი სტრატეგიისა და ბიზნესმოდელის შეფასებაზე. საწარმოს შეუძლია გაამჟღავნოს ღირებულებათა ჯაჭვში მომუშავეთა და მათი წარმომადგენლების მოსაზრებები.

ESRS 2-ის SBM-3 ნაწილთან – „არსებითი ზემოქმედება, რისკები და შესაძლებლობები და მათი ურთიერთქმედება სტრატეგიასა და ბიზნესმოდელთან“ – დაკავშირებული ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნა

- გმ6. **ღირებულებათა ჯაჭვში მომუშავეებზე ზემოქმედება** საწარმოს სტრატეგიის ან **ბიზნესმოდელის** ფარგლებში შეიძლება სხვადასხვა მიმართულებით წარმოიქმნას. მაგალითად, ზემოქმედება შესაძლოა დაკავშირებული იყოს საწარმოს სპეციალურ შეთავაზებასთან (როგორც არის, მაგალითად პროდუქტების ან მომსახურების შეთავაზება ყველაზე დაბალ ფასად, ან ძალიან სწრაფი მიწოდება იმგვარად, რომ ამან ზეწოლა მოახდინოს აღმავალ და დადმავალ ღირებულებათა ჯაჭვში მომუშავეთა შრომით უფლებებზე), მის **ღირებულებათა ჯაჭვთან** (მაგალითად, გაურკვეველი წარმომავლობის საქონელზე დაყრდნობა ისე, რომ ნათლად არ ჩანდეს მომუშავეებზე ზემოქმედება), ან საწარმოს დანახარჯების სტრუქტურასა და ამონაგების მიღების მოდელთან (მაგალითად, მარაგებთან დაკავშირებული რისკის იმგვარად გადაცემა მომწოდებლებზე, რაც არაპირდაპირ გავლენას იწვევს მათი მომუშავეების შრომით უფლებებზე).
- გმ7. **ღირებულებათა ჯაჭვში მომუშავეებზე** საწარმოს სტრატეგიით ან **ბიზნესმოდელით** განპირობებულმა ზემოქმედებამ შესაძლოა საწარმოც დააყენოს არსებითი **რისკების** წინაშე. მაგალითად, პანდემიის ან ჯანდაცვის სფეროში სერიოზული კრიზისის პირობებში, საწარმო, რომელიც დასაქმების არასტანდარტულ ფორმებს იყენებს და პრაქტიკულად წვდომა არა აქვს სამედიცინო მომსახურებასა და სამედიცინო მომსახურების შეღავათებზე, შეიძლება სერიოზული რისკების წინაშე აღმოჩნდეს საოპერაციო საქმიანობისა და ბიზნესის გაგრძელების შესაძლებლობის თვალსაზრისით, ვინაიდან მომუშავეებს არ ექნებათ სხვა არჩევანი, გარდა იმისა, რომ მუშაობა გააგრძელონ ავადმყოფობის პერიოდშიც, რაც კიდევ უფრო დააჩქარებს დაავადების გავრცელებას და **მიწოდების ჯაჭვში** სერიოზულ პრობლემებს/შეფერხებებს გამოიწვევს. კიდევ ერთი მაგალითია ისეთი სიტუაცია, როდესაც საქონლის გაყიდვა ყველაზე დაბალ ფასად მომხმარებლებისთვის საოპერაციო რისკებს წარმოქმნის, ვინაიდან **მომწოდებლებმა**, რომლებიც ექსტრემალური ფასების წნეხის ქვეშ აღმოჩნდებიან, შესაძლოა ქვეხელშეკრულებები გააფორმონ პროდუქციის წარმოებაზე, რაც გამოიწვევს ხარისხის გაუარესებას, ასევე უფრო გრძელ, ნაკლებად გამჭვირვალე და ნაკლებად კონტროლირებად ღირებულებათა ჯაჭვს. რეპუტაციული და ბიზნესის რისკები, რომლებიც დაკავშირებულია დაბალი კვალიფიკაციის მქონე, დაბალანაზღაურებადი მომუშავეების გამოყენებასთან ისეთ რეგიონებში, სადაც მინიმალურად არიან დაცულები მომუშავეები, იზრდება მასობრივი საინფორმაციო საშუალებების უარყოფითი რეაქციის შედეგად და **მომხმარებლების** ქცევის მოდელის შეცვლის გამო, რაც გამოიხატება უპირატესობის მინიჭებაში უფრო ეთიკურად წარმოებული ან მდგრადი საქონლისთვის.

- გმ8. **ღირებულებათა ჯაჭვში მომუშავეთა** განსაკუთრებული მახასიათებლები, რომლის გათვალისწინება და განხილვა საწარმოს შეუძლია მე-12 პუნქტის შესაბამისი ინფორმაციის მომზადებისას, შესაძლოა ეხებოდეს ახალგაზრდებს, რომლებიც შესაძლოა უფრო მოწყვლადი იყვნენ ფიზიკურ და გონებრივ განვითარებაზე ზემოქმედების თვალსაზრისით, ან მომუშავე ქალებს ისეთ გარემოში, სადაც ქალები ჩვეულებრივ დისკრიმინაციას განიცდიან სამუშაო პირობებში, ან მიგრანტ მომუშავეებს ისეთ გარემოში, სადაც შრომის ბაზარი არადაამაკმაყოფილებლად რეგულირდება და მომუშავეებს რეგულარულად აიძულებენ საკომისიოს გადახდას შრომითი მოწყობისთვის. ზოგიერთი მომუშავე შეიძლება რისკის ქვეშ აღმოჩნდეს იმ სამუშაოს ხასიათის გამო, რომელიც მან უნდა შეასრულოს (მაგ., მომუშავეები, რომელთაც უწევთ ქიმიურ ნივთიერებებთან მუშაობა ან გარკვეული მოწყობილობების მართვა, ან დაბალანაზღაურებადი მომუშავეები, რომლებიც მუშაობენ „ნულოვანი სამუშაო საათების“ ხელშეკრულების საფუძველზე).
- გმ9. რაც შეეხება მე-13 პუნქტს, არსებითი რისკები შესაძლოა წარმოიქმნას ასევე **ღირებულებათა ჯაჭვში მომუშავეებზე** საწარმოს დამოკიდებულების გამო, როდესაც დაბალი ალბათობის მქონე მოვლენებმა, რომელთაც სერიოზული შედეგები მოჰყვება, შეიძლება **ფინანსური შედეგები** გამოიწვიოს, მაგალითად, როდესაც გლობალური პანდემია მომუშავეთა ჯანმრთელობას სერიოზულ პრობლემებს უქმნის ღირებულებათა ჯაჭვის ყველა ეტაპზე, რაც სერიოზულ შეფერხებებს იწვევს წარმოებისა და დისტრიბუციის პროცესებში. ღირებულებათა ჯაჭვში მომუშავეებზე საწარმოს დამოკიდებულებასთან დაკავშირებული რისკების სხვა მაგალითებია: კვალიფიციური მომუშავეების დეფიციტი, ან პოლიტიკური გადაწყვეტილებები ან კანონმდებლობა, რომელიც გავლენას ახდენს ღირებულებათა ჯაჭვის ფარგლებში ლოჯისტიკის სფეროს სუბიექტების მომუშავეებზე. მაგალითად, თუ საწარმოს ღირებულებათა ჯაჭვში ზოგიერთი მომუშავე **იძულებითი შრომის** რისკს ექვემდებარება, ხოლო საწარმოს პროდუქცია შემოაქვს ისეთ ქვეყნებში, სადაც კანონით ნებადართულია ისეთი იმპორტირებული საქონლის კონფისკაცია, რომლის შესახებაც არსებობს ეჭვი, რომ წარმოებულია იძულებითი შრომის გამოყენებით.

ზემოქმედების, რისკისა და შესაძლებლობის მართვა

ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნა S2-1 – „ღირებულებათა ჯაჭვში მომუშავეებთან დაკავშირებული პოლიტიკები“

- გმ10. თუ საწარმოს პოლიტიკა შემოიფარგლება მხოლოდ **საკუთარი სამუშაო ძალით** და არ ვრცელდება მისი აღმავალი და დაღმავალი ღირებულებათა ჯაჭვის სუბიექტებსა და ურთიერთობებზე, მან ინფორმაცია უნდა გაამჟღავნოს ESRS S1-ის შესაბამისად და არა წინამდებარე მოთხოვნის მიხედვით.
- გმ11. თუ ESRS S1-ის შესაბამისად გამჟღავნებული ინფორმაცია მოიცავს ღირებულებათა ჯაჭვში მომუშავეთა შესახებ ინფორმაციასაც, ზემოაღნიშნული მოთხოვნის შესრულებისას საწარმოს შეუძლია მიუთითოს ეს ინფორმაცია; დანარჩენი ელემენტების შესახებ ინფორმაცია უნდა მომზადდეს ამ მოთხოვნის შესაბამისად.
- გმ12. საწარმოს შეუძლია ახსნას საანგარიშგებო წლის განმავლობაში თავის პოლიტიკაში შეტანილი მნიშვნელოვანი ცვლილებები (მაგალითად, **მომწოდებლების** ახალი მოლოდინები, ახალი ან დამატებითი მიდგომები კომპლექსური შემოწმებისა და რემედიაციის პოლიტიკაში).
- გმ13. **ღირებულებათა ჯაჭვში** მომუშავეთა შესახებ საწარმოს **პოლიტიკა** შესაძლოა იზოლირებული პოლიტიკა იყოს ან ინტეგრირებული იყოს უფრო ფართო დოკუმენტში, როგორც არის, მაგალითად ეთიკის კოდექსი ან მდგრადი განვითარების გენერალური პოლიტიკა, რის შესახებაც საწარმოს ინფორმაცია უკვე გამჟღავნებული აქვს რომელიმე სხვა ESRS-ის მოთხოვნების შესაბამისად. ასეთ შემთხვევაში საწარმომ ზუსტად უნდა მიუთითოს ეს ინფორმაცია, რათა გამოჩნდეს პოლიტიკის ის ასპექტები, რომლებიც აკმაყოფილებს ინფორმაციის გამჟღავნების წინამდებარე მოთხოვნას.
- გმ14. როდესაც ინფორმაციას ამჟღავნებს ბიზნესისა და ადამიანის უფლებების შესახებ გაეროს სახელმძღვანელო პრინციპებთან თავისი პოლიტიკის შესაბამისობის შესახებ, საწარმომ უნდა გაითვალისწინოს, რომ ეს სახელმძღვანელო პრინციპები ადამიანთა უფლებების საერთაშორისო ბილს ეხება, რომელიც შედგება ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციისა და ორი პაქტისაგან, რომლის მეშვეობითაც

ხდება მათი პრაქტიკაში რეალიზება, ასევე შრომის სფეროში ძირითადი უფლებებისა და პრინციპების შესახებ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის დეკლარაციას და ძირითად კონვენციებს, რომლებსაც ეს დოკუმენტი ეყრდნობა. ამიტომ საწარმოს ინფორმაციის გამჟღავნება შეუძლია ამ ინსტრუმენტებით გათვალისწინებული რეკომენდაციების დაცვის შესახებ.

- გმ15. ამჟღავნებს რა ინფორმაციას იმის თაობაზე, როგორ არის ინტეგრირებული საწარმოში გარეთ მიმართული მისი პოლიტიკა, საწარმოს შეუძლია განიხილოს მაგალითად, შიდა პოლიტიკა, რომელიც ეხება მომწოდებლების პასუხისმგებლობიან შერჩევას და მისი შესაბამისობა **ღირებულებათა ჯაჭვში მომუშავეებთან**, მაგალითად, **იძულებით შრომასთან** დაკავშირებულ სხვა პოლიტიკასთან. **მომწოდებლის** ქცევის კოდექსთან დაკავშირებით, რომელიც შეიძლება საწარმოში არსებობდეს, რეზიუმეში მითითებული უნდა იყოს, მოიცავს თუ არა ეს კოდექსი ისეთ დებულებებს, რომლებიც ეხება მომუშავეთა უსაფრთხოებას, არასტანდარტულ დასაქმებას (მაგალითად, მომუშავეთა გამოყენებას მოკლე ვადით ან შეზღუდული სამუშაო საათების ხელშეკრულებების შესაბამისად, მომუშავეებს, რომლებიც დაქირავებული არიან მესამე მხარეთა მეშვეობით, მესამე მხარეებთან გაფორმებულ ქვეხელშეკრულებებს ან არაფორმალური მომუშავეების გამოყენებას), ადამიანებით ვაჭრობას, იძულებითი შრომის ან **ბავშვთა შრომის** გამოყენებას, ასევე ამგვარი დებულებები სრულად შეესაბამება თუ არა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის შესაბამის სტანდარტებს.
- გმ16. საილუსტრაციოდ საწარმოს შეუძლია აღწეროს, თუ როგორ აწვდის საკუთარი პოლიტიკის შესახებ ინფორმაციას იმ ფიზიკურ პირებს, ადამიანთა ჯგუფებს ან სუბიექტებს, ვისაც ეს პოლიტიკა ეხება, მაგალითად, ვინც ეს პოლიტიკა უნდა განახორციელოს (როგორცაა, საწარმოს **დასაქმებულები**, კონტრაქტორები და **მომწოდებლები**), ან ვისაც პირდაპირი ინტერესი აქვს, რომ ეს პოლიტიკა დაინერგოს (მაგ., საკუთარი სამუშაო ძალა, ინვესტორები). საწარმოს შეუძლია ინფორმაციის გამჟღავნება იმ ინსტრუმენტებისა და საკომუნიკაციო არხების შესახებ (როგორცაა საინფორმაციო ფურცლები, ბიულეტენები, სპეციალური ვებგვერდები, სოციალური ქსელები, პირადი ურთიერთობები და მომუშავეთა წარმომადგენლები), რომელთა მიზანია, საზოგადოებისა და მისი ცალკეული ჯგუფებისთვის ხელმისაწვდომი იყოს ეს პოლიტიკა და ცნობილი გახდეს მისი შედეგები. საწარმოს ასევე შეუძლია ახსნას, როგორ ავლენს და აღმოფხვრის ამ ინფორმაციის გავრცელებასთან დაკავშირებულ პოტენციურ დაბრკოლებებს, მაგალითად, პოლიტიკის თარგმანით შესაბამის ენაზე ან გრაფიკული გამოსახულებების გამოყენებით.

ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნა S2-2 – „ღირებულებათა ჯაჭვში მომუშავეებთან ურთიერთქმედების პროცესები ზემოქმედებასთან დაკავშირებით“

- გმ17. როდესაც საწარმო აღწერს, რომელ ფუნქციას ან როლს ეკისრება ოპერატიული პასუხისმგებლობა ან/და საბოლოო ანგარიშვალდებულება ასეთ ურთიერთქმედებაზე, მას შეუძლია მიუთითოს, ეს სპეციალური როლი ან ფუნქციაა, თუ უფრო ფართო როლის ან ფუნქციის ნაწილი, ასევე გატარდა თუ არა რაიმე ზომები შესაბამისი მომუშავეებისთვის ამგვარი ურთიერთქმედების განსახორციელებლად აუცილებელი უნარების განვითარების მიზნით. თუ საწარმოს არ შეუძლია ასეთი თანამდებობის ან ფუნქციის იდენტიფიკაცია, მას შეუძლია გაამჟღავნოს თავად ეს ფაქტი. ამ მოთხოვნის შესრულება შესაძლებელია ასევე იმ ინფორმაციის მითითებით, რომელიც საწარმოს გამჟღავნებული აქვს ESRS 2-ის GOV-1 ნაწილის – „**ადმინისტრაციული, მართვისა და საზედამხედველო ორგანოების როლი**“ – შესაბამისად.
- გმ18. 22 (ბ) და (გ) პუნქტებში აღწერილი ინფორმაციის მომზადებისას შესაძლებელია შემდეგი მაგალითების განხილვა:
- ა) ურთიერთქმედება ხორციელდება შემდეგ ეტაპებზე: (i) ზემოქმედების შერბილების მიდგომის განსაზღვრა და (ii) ზემოქმედების შერბილების ეფექტიანობის შეფასება;
 - ბ) ურთიერთქმედების ტიპის მიხედვით ეს შეიძლება იყოს მონაწილეობა, კონსულტაციები ან/და ინფორმაციის მიწოდება;
 - გ) ურთიერთქმედების სიხშირესთან დაკავშირებით შეიძლება წარმოდგენილი იყოს ინფორმაცია იმის თაობაზე, ურთიერთქმედება რეგულარულად ხორციელდება, თუ პროექტის ან ბიზნეს-პროცესის გარკვეულ ეტაპებზე, მაგალითად, როდესაც იწყება მოსავლის აღების ახალი სეზონი

ან იხსნება ახალი საწარმოო ხაზი, ასევე ეს ურთიერთქმედება საკანონმდებლო მოთხოვნების შესაბამისად ხორციელდება თუ არა, ან/და დაინტერესებული მხარეების მოთხოვნების გათვალისწინებით და ურთიერთქმედების შედეგები გაითვალისწინება თუ არა საწარმოს გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში; და

დ) ოპერატიული პასუხისმგებლობის თანამდებობისთვის – საწარმო მოითხოვს თუ არა შესაბამისი შესაბამისი პერსონალისგან გარკვეულ უნარების ფლობას, ან უზრუნველყოფს თუ არა შესაბამისი პერსონალის **ტრენინგს (სწავლებას)** ან ამ ურთიერთქმედების განსახორციელებლად აუცილებელი უნარების განვითარებას.

გმ19. გლობალური ჩარჩო-შეთანხმებები (GFA) ემსახურება მუდმივი ურთიერთკავშირის დამყარებას მულტინაციონალურ საწარმოსა და პროფკავშირების გლობალურ ფედერაციას შორის, რათა უზრუნველყოფილ იქნეს იმის გარანტია, რომ საწარმო ერთსა და იმავე სტანდარტებს იცავს ყველა ქვეყანაში, სადაც საქმიანობს.

გმ20. იმის საილუსტრაციოდ, **ღირებულებათა ჯაჭვში** მომუშავეთა მოსაზრებებმა რა გავლენა იქონიეს საწარმოს კონკრეტულ გადაწყვეტილებებზე ან საქმიანობაზე, საწარმოს შეუძლია მაგალითების მოყვანა მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდიდან.

ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნა S2-3 – „უარყოფითი ზემოქმედების რემედიაციის პროცესები და არხები, რომლის მეშვეობით ღირებულებათა ჯაჭვში მომუშავეებს შეუძლიათ თავიანთი პრობლემების შესახებ საწარმოს ინფორმირება“

გმ21. ESRS S2-3 ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნების შესრულებისას საწარმოს შეუძლია იხელმძღვანელოს „ბიზნესისა და ადამიანის უფლებების შესახებ გაეროს სახელმძღვანელო პრინციპებითა“ და „მულტინაციონალური საწარმოების შესახებ ეთაგოს სახელმძღვანელო მითითებებით“, რომლებიც ეხება **რემედიაციას** და **საჩივრების მართვის მექანიზმებს**.

გმ22. პრობლემების ან საჭიროებების ინფორმირების არხები მოიცავს **საჩივრების მართვის მექანიზმებს**, ცხელ ხაზებს, პროფკავშირებს (სადაც მომუშავეები გაერთიანებული არიან პროფკავშირებში), დიალოგის პროცესებს ან სხვა საშუალებებს, რომლის მეშვეობით **ღირებულებათა ჯაჭვში** მომუშავეებს ან მათ **კანონიერ წარმომადგენლებს** შეუძლიათ საწარმოს წინაშე მისი ზემოქმედებით გამოწვეული პრობლემების დაყენება ან თავიანთი საჭიროებების ახსნა, რომლის მოგვარებაც სურთ საწარმოს მიერ. ამგვარი არხები შეიძლება მოიცავდეს როგორც უშუალოდ საწარმოს მიერ შეთავაზებულ არხებს, ისე იმ სუბიექტების მიერ შეთავაზებულს, სადაც ღირებულებათა ჯაჭვში მომუშავეები მუშაობენ, ასევე ნებისმიერ სხვა მექანიზმს, რომლის გამოყენება საწარმოს შეუძლია ინფორმაციის მოსაპოვებლად მომუშავეებზე თავისი ზემოქმედების მართვის შეფასების შესახებ, როგორც არის, მაგალითად შესაბამისობის აუდიტის ჩატარება. თუ საწარმო ამ მოთხოვნის შესრულებისას მხოლოდ მისი **საქმიანი ურთიერთობების** ფარგლებში შექმნილი ამგვარი არხების არსებობის შესახებ ინფორმაციას ეყრდნობა, მას შეუძლია განაცხადოს ეს.

გმ23. იმისათვის, რომ უზრუნველყოს ESRS S2-3 მოთხოვნის შესაბამისად გამჟღავნებული ინფორმაციის უფრო საფუძვლიანად გაგება, საწარმოს თითოეულ არხებით ზემოქმედებასთან დაკავშირებით შეუძლია ახსნას, **ღირებულებათა ჯაჭვში** იმ მომუშავეებს, რომლებსაც შეიძლება შეეხოს საწარმოს ზემოქმედება, აქვთ თუ არა წვდომა და რა სახით იმ საწარმოს დონის არხებზე, სადაც ისინი არიან დასაქმებულები ან ხელშეკრულებით მუშაობენ.

გმ24. მესამე მხარეთა მექანიზმები შეიძლება მოიცავდეს მაგალითად, მექანიზმებს, რომლებსაც მართავს სახელმწიფო, არასამთავრობო ორგანიზაციები, დარგობრივი გაერთიანებები/ასოციაციები და სხვა ერთობლივი ინიციატივები. საწარმოს შეუძლია გამჟღავნოს ინფორმაცია იმის შესახებ, ეს არხები ხელმისაწვდომია თუ არა ყველა იმ მომუშავესთვის, რომელიც პოტენციურად ან ფაქტობრივად შეიძლება დაექვემდებაროს საწარმოს მხრიდან არსებით ზემოქმედებას, ან იმ ფიზიკური პირებისა თუ ორგანიზაციებისთვის, რომლებიც მათი სახელით მოქმედებენ, ან რომელთაც სხვა საშუალებით შეუძლიათ ინფორმაციის მიღება საწარმოს უარყოფითი ზემოქმედებების შესახებ.

- გმ25. რაც შეეხება შურისგების აქტისგან იმ პირთა დაცვას, რომლებიც ამ მექანიზმებს იყენებენ, საწარმოს შეუძლია მიუთითოს, საჩივრებს იხილავს თუ არა კონფიდენციალურად და პირადი ცხოვრებისა და პერსონალური მონაცემების ხელშეუხებლობის უფლებების დაცვით; ასევე ეს მექანიზმები მომუშავეებს მათი ანონიმურად გამოყენების საშუალებას აძლევს თუ არა (მაგალითად, მესამე მხარის წარმომადგენლობის მეშვეობით).
- გმ26. როდესაც საწარმო ინფორმაციას ამჟღავნებს იმის თაობაზე, იცის თუ არა მან და თუ იცის, როგორ შეიტყო, რომ **ღირებულებათა ჯაჭვში** მომუშავეთათვის ცნობილია ამა თუ იმ ზემოაღნიშნული არხის შესახებ და ენდობიან მას, საწარმოს ამ არხების ეფექტიანობის შესახებ შესაბამისი და საიმედო მონაცემების წარმოდგენა შეუძლია ღირებულებათა ჯაჭვში მომუშავეთა პოზიციიდან. ამგვარი ინფორმაციის წყაროების მაგალითებია იმ მომუშავეთა გამოკითხვები, რომლებმაც ასეთი არხები გამოიყენეს და ასევე მათი კმაყოფილების დონე ამ პროცესითა და მისი შედეგებით.
- გმ27. იმ არხების ეფექტიანობის განხილვისას, რომლის მეშვეობით **ღირებულებათა ჯაჭვში** მომუშავეებს შეუძლიათ თავიანთი პრობლემების ინფორმირება, საწარმოს შეუძლია იხელმძღვანელოს შემდეგი კითხვებით, რომლებიც ეყრდნობა ბიზნესისა და ადამიანის უფლებების შესახებ გაეროს სახელმძღვანელო პრინციპებში, კერძოდ, 31-ე პრინციპში განსაზღვრულ კრიტერიუმებს „ეფექტიანობის კრიტერიუმები **საჩივრების მართვის** არასამართლებრივი მექანიზმებისთვის“. შემდეგი კითხვების/მოსაზრებების გამოყენება შესაძლებელია ცალკეული არხის ან არხების მთელი სისტემის მიმართ:
- ა) ეს არხები იმის გამო მიიჩნევა ლეგიტიმურად, რომ საწარმო უზრუნველყოფს ანგარიშვალდებულებას საკუთარ კეთილსინდისიერ საქმიანობაზე და დაინტერესებულ მხარეთა ნდობის განმტკიცებას?
 - ბ) ეს არხები ცნობილი და ხელმისაწვდომია **დაინტერესებული მხარეებისთვის?**
 - გ) აქვს ამ არხებს ნათლად ჩამოყალიბებული და საჯაროდ ცნობილი პროცედურები, დადგენილი ვადები და უზრუნველყოფილია ამ პროცესების გამჭვირვალობა?
 - დ) ეს არხები უზრუნველყოფს გონივრულ წვდომას ინფორმაციის წყაროებთან, რეკომენდაციებსა და გამოცდილებასთან?
 - ე) ეს არხები გამჭვირვალობას იმით უზრუნველყოფს, რომ საკმარის ინფორმაციას აწვდის განმცხადებელს/მომჩივანს და, შესაბამის შემთხვევაში, იმავდროულად აკმაყოფილებს ამა თუ იმ საზოგადოებრივ ინტერესს?
 - ვ) ამ არხების მეშვეობით მიღწეული შედეგები შეესაბამება საერთაშორისოდ აღიარებულ ადამიანის უფლებებს?
 - ზ) ამ არხების მეშვეობით საწარმო იღებს ისეთ ინფორმაციას, რომელიც მას მუდმივად ეხმარება როგორც არხების მუშაობის გაუმჯობესებაში, ისე მომავალი ზემოქმედების პრევენციაში?
 - თ) საწარმო განმცხადებლებთან დიალოგს ანიჭებს უფრო უპირატესობას, როგორც შეთანხმებული გადაწყვეტილებების მიღების საშუალებას, თუ შედეგის ცალმხრივად განსაზღვრას ესწრაფვის?

ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნა S2-4– „ზომების მიღება ღირებულებათა ჯაჭვში მომუშავეებზე არსებით ზემოქმედებასთან დაკავშირებით, ღირებულებათა ჯაჭვში მომუშავეებთან დაკავშირებული არსებითი რისკების შერბილებისა და არსებითი შესაძლებლობების გამოყენების მიდგომები და ამ ქმედებების ეფექტიანობა“

- გმ28. შესაძლოა გარკვეული დრო დასჭირდეს უარყოფითი ზემოქმედებისა და იმის გაცნობიერებას, როგორ შეიძლება იყოს საწარმო ამ ზემოქმედების მონაწილე თავისი ღირებულებათა ჯაჭვის მეშვეობით, ასევე შესაბამისი საპასუხო ზომების განსაზღვრას და ცხოვრებაში გატარებას. ამგვარად, საწარმომ უნდა განიხილოს:

- ა) საერთო და სპეციფიკური მიდგომები, რომლებიც ეხება არსებითი უარყოფითი ზემოქმედების აღმოფხვრას;
- ბ) ინიციატივები/ღონისძიებები, რომლებიც მიმართულია დამატებითი დადებითი არსებითი ზემოქმედების ხელშეწყობაზე;
- გ) საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში რამდენად წაიწია წინ ამ კუთხით განხორციელებულ საქმიანობაში; და
- დ) უწყვეტ გაუმჯობესებასთან დაკავშირებული მისი მიზნები.

- გმ29. შესაფერისი ქმედება შეიძლება სხვადასხვანაირი იყოს იმის მიხედვით, თვითონ საწარმო იწვევს არსებით ზემოქმედებას, თუ ხელს უწყობს ამგვარ ზემოქმედებას, ან არსებითი ზემოქმედება უშუალოდ დაკავშირებულია თუ არა თავად საწარმოს საქმიანობასთან, პროდუქციასთან ან მომსახურებასთან მისი საქმიანი ურთიერთობის მეშვეობით.
- გმ30. იმის გათვალისწინებით, რომ საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში *ღირებულებათა ჯაჭვში* მომუშავეებზე განხორციელებული უარყოფითი არსებითი ზემოქმედება შესაძლოა დაკავშირებული იყოს ასევე ისეთ სუბიექტებთან ან საქმიანობასთან, რომელსაც საწარმო უშუალოდ ვერ აკონტროლებს, საწარმოს შეუძლია ინფორმაციის გამჟღავნება იმის თაობაზე, ცდილობს თუ არა ის და როგორ თავისი ზემოქმედების შესაძლებლობის გამოყენებას *საქმიან ურთიერთობებში* ამ ზემოქმედებების მართვისთვის. ეს შეიძლება იყოს კომერციული *ბერკეტი* (მაგალითად, სახელმეკრულებო მოთხოვნების დაცვის უზრუნველყოფა საქმიან ურთიერთობებში ან გარკვეული მასტიმულირებელი მექანიზმების დანერგვა), სხვა ფორმის ზემოქმედების შესაძლებლობა ამ ურთიერთობის ფარგლებში (როგორც არის, მაგალითად, იმ სუბიექტების მომუშავეთა *ტრენინგის* უზრუნველყოფა ან მათი ცოდნისა და შესაძლებლობების განვითარება მომუშავეთა უფლებების სფეროში, რომელთანაც საწარმოს აქვს საქმიანი ურთიერთობა), ან ერთობლივი ზემოქმედების მექანიზმები ანალოგიური საწარმოების ან სხვა სუბიექტების მონაწილეობით (მაგალითად, ინიციატივა, რომელიც მიმართულია მომუშავეთა შერჩევის პასუხისმგებლობიან მიდგომებზე ან მომუშავეთა უზრუნველყოფაზე *ადეკვატური ხელფასით*).
- გმ31. თუ საწარმო, არსებითი უარყოფითი ზემოქმედების აღმოფხვრასთან დაკავშირებული თავისი *ქმედებების* ამსახველი ინფორმაციის ფარგლებში, ინფორმაციას ამჟღავნებს ამა თუ იმ დარგის ან მრავალმხრივ ინიციატივაში თავისი მონაწილეობის შესახებ, მას შეუძლია მიუთითოს, ეს ინიციატივა და კონკრეტულად მისი მონაწილეობა როგორ უწობს ხელს შესაბამისი არსებითი ზემოქმედების აღმოფხვრას. საწარმოს ინფორმაციის გამჟღავნება შეუძლია ESRS S2-5 მოთხოვნის შესაბამისად ამ ინიციატივის მიერ დადგენილი *სამიზნე მაჩვენებლებისა* და მათ შესრულებაში მიღწეული თავისი პროგრესის შესახებ.
- გმ32. როდესაც საწარმო ინფორმაციას ამჟღავნებს იმის თაობაზე, ითვალისწინებს თუ არა და როგორ *ღირებულებათა ჯაჭვში* მომუშავეებზე ფაქტობრივ და პოტენციურ ზემოქმედებას *საქმიანი ურთიერთობების* შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებების მიღებისას, ასევე ცდილობს თუ არა და როგორ ამა თუ იმ უარყოფითი ზემოქმედების აღმოფხვრას, რომელიც ურთიერთობის შეწყვეტამ შეიძლება გამოიწვიოს, საწარმოს შეუძლია მაგალითების მოყვანა.
- გმ33. როდესაც საწარმო აღწერს, როგორ ადევნებს თვალყურს იმ *ქმედებების* ეფექტიანობას, რომლებიც მიმართულია საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში არსებითი ზემოქმედებების მართვაზე, საწარმოს შეუძლია ინფორმაციის გამჟღავნება ნებისმიერი გაკვეთილის შესახებ, რომელიც გამოიტანა წინა და მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდებიდან.
- გმ34. ზემოაღნიშნული *ქმედებების* ეფექტიანობის მონიტორინგისთვის გამოყენებული პროცესები შეიძლება მოიცავდეს შიდა ან გარე აუდიტს, ან შემოწმებას, სასამართლო პროცესს ან/და სასამართლოს შესაბამის გადაწყვეტილებებს, ზემოქმედების შეფასებას, შეფასების სისტემებს, დაინტერესებული მხარეებისგან მიღებულ კომენტარებს, *საჩივრების მართვის მექანიზმებს*, ეფექტიანობის გარე რეიტინგებს და შედეგებითი ანალიზის ჩატარებას.
- გმ35. ეფექტიანობის შესახებ ინფორმაციის წარდგენის მიზანია, მომხმარებლებმა ნათელი წარმოდგენა შეიქმნან საწარმოს მიერ განხორციელებულ *ქმედებებსა* და მისი ზემოქმედების ეფექტიან მართვას შორის ურ-

თიერთკავშირის შესახებ. მაგალითად, *მომწოდებლების* სამუშაო პირობების გაუმჯობესების ხელშესაწყობად განხორციელებული *ქმედებების* ეფექტიანობის საილუსტრაციოდ საწარმოს შეუძლია გაამჟღავნოს მომწოდებლების მომუშავეთა გამოკითხვების შედეგები, საიდანაც ჩანს, რომ მომწოდებლების შრომის პირობები გაუმჯობესდა მას შემდეგ, რაც საწარმომ მუშაობა დაიწყო მათთან. გარდა ამისა, საწარმოს შეუძლია დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენაც, მაგალითად, მონაცემების, რომლებიც გვიჩვენებს *ინციდენტების* რაოდენობის შემცირებას, რაც გამოვლინდა, მაგალითად, დამოუკიდებელი აუდიტის შედეგად.

გმ36. საწარმოში მოქმედი ინიციატივების ან პროცესების შესახებ, რომლებიც შესაბამისი მომუშავეების საჭიროებებს ეყრდნობა, ასევე მათი რეალიზების საკითხში მიღწეულ პროგრესთან დაკავშირებით საწარმოს შეუძლია გაამჟღავნოს ინფორმაცია:

- ა) იმის თაობაზე, *ღირებულებათა ჯაჭვში* მომუშავეები და მათი *კანონიერი წარმომადგენლები*, ან მათი *ნდობით აღჭურვილი პირები* თამაშობენ თუ არა რაიმე როლს და რა სახით ამ პროგრამებისა ან პროცესების შემუშავებისა და დანერგვის შესახებ გადაწყვეტილებების მიღებაში; და
- ბ) ამ ინიციატივების ან პროცესებით განპირობებული სავარაუდო ან უკვე მიღწეული დადებითი შედეგების შესახებ ღირებულებათა ჯაჭვში მომუშავეთათვის.

გმ37. საწარმოს შეუძლია ინფორმაციის გამჟღავნება იმის თაობაზე, რომელიმე მისი ინიციატივა ან პროცესი, რომლის ძირითადი მიზანია დადებითი ზემოქმედების უზრუნველყოფა *ღირებულებათა ჯაჭვში* მომუშავეებზე, იმავდროულად მიმართულია თუ არა გაეროს მიერ დადგენილი მდგრადი განვითარების მიზნებიდან (Sustainable Development Goals) რომელიმე ერთი ან რამდენიმე მიზნის მიღწევის ხელშეწყობაზე. მაგალითად, გაეროს მდგრადი განვითარების მე-8 მიზნის „სტაბილური, ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა, სრული და პროდუქტიული დასაქმებისა და ღირსეული სამუშაოს უზრუნველყოფა ყველასთვის“ – რეალიზების ვალდებულების ფარგლებში, საწარმოს შეუძლია თავის *მიწოდების ჯაჭვში* ხელი შეუწყოს წვრილ მიწათმფლობელთა პოტენციალის გაზრდას, რაც გამოიწვევს მათი შემოსავლების ზრდას, ან შესაძლოა ხელი შეუწყოს *ტრენინგების* ორგანიზებას, რათა გაიზარდოს იმ ქალთა შრომის წილი, რომელთაც საწარმოს დადამავალ ღირებულებათა ჯაჭვში შეუძლიათ სამუშაოს შესრულება.

გმ38. *ღირებულებათა ჯაჭვში* მომუშავეებთან დაკავშირებული საწარმოს *ქმედებების* დაგეგმილი ან უკვე მიღწეული დადებითი შედეგების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნებისას, საწარმომ ერთმანეთისგან უნდა გამიჯნოს უკვე განხორციელებული გარკვეული ქმედებების შესახებ მტკიცებულებები (მაგ., X მომუშავემ გაიარა *ტრენინგი* ფინანსური განათლების გასაუმჯობესებლად) და მომუშავეებისთვის მიღწეული ფაქტობრივი შედეგების მტკიცებულებები (მაგ., X მომუშავე აცხადებს, რომ მათ უკეთ შეუძლიათ საკუთარი საოჯახო ბიუჯეტის მართვა, რათა მიაღწიონ დანაზოგის შექმნის მიზნებს).

გმ39. როდესაც ინფორმაციას ამჟღავნებს იმის თაობაზე, ეს ინიციატივები ან პროცესები იმავდროულად რაიმე როლს თამაშობენ თუ არა არსებითი უარყოფითი ზემოქმედების შერბილების საქმეშიც, საწარმოს შეუძლია განიხილოს, მაგალითად, პროგრამები, რომლებიც მიმართულია მომუშავე ქალთა ფინანსური განათლების ამაღლებაზე, რის შედეგადაც ბევრი მომუშავე ქალი დაწინაურდა სამსახურში და შემცირდა სამუშაო ადგილზე ქალთა სექსუალური *შევიწროება*.

გმ40. *ღირებულებათა ჯაჭვში* მომუშავეებზე საწარმოს ზემოქმედებასთან ან *დამოკიდებულებასთან* დაკავშირებული არსებითი რისკებისა და შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნებისას საწარმოს შეუძლია გაითვალისწინოს შემდეგი:

- ა) ღირებულებათა ჯაჭვში მომუშავეებზე საწარმოს ზემოქმედებასთან დაკავშირებული რისკები შესაძლოა მოიცავდეს რეპუტაციულ ან სამართლებრივ რისკს, თუ ღირებულებათა ჯაჭვში მომუშავეები გახდებიან *იძულებითი* ან *ბავშვთა შრომის* ობიექტები;
- ბ) ღირებულებათა ჯაჭვში მომუშავეებზე საწარმოს დამოკიდებულებასთან დაკავშირებული რისკები შესაძლოა მოიცავდეს საწარმოს საქმიანი ოპერაციების ჩაშლას, როდესაც პანდემიის დროს იხურება *მიწოდების ჯაჭვის* ან სადისტრიბუციო ქსელის მნიშვნელოვანი ნაწილები;

- გ) ღირებულებათა ჯაჭვში მომუშავეებზე საწარმოს ზემოქმედებასთან დაკავშირებული შესაძლებლობები შესაძლოა მოიცავდეს ბაზრის დიფერენციაციას და საწარმოს მომხმარებლებისთვის მისი მიმზიდველობის ამაღლებას, რასაც განაპირობებს გარანტირებული დამატებითი ღირსეული **ანაზღაურება** ან პირობების შექმნა საწარმოში არადასაქმებულ პირთათვის; და
- დ) ღირებულებათა ჯაჭვში მომუშავეებზე საწარმოს დამოკიდებულებასთან დაკავშირებული ბიზნესის შესაძლებლობები შესაძლოა მოიცავდეს სამომავლოდ საქონლის მდგრადი მიწოდების მიღწევას, თუკი უზრუნველყოფენ, რომ წვრილი ფერმერები საკმარის შემოსავლებს იღებდნენ იმისთვის, რომ დაარწმუნონ მომავალი თაობები, გააგრძელონ ამ კულტურის მოყვანა.

- გმ41. როდესაც ინფორმაციას ამჟღავნებს იმის თაობაზე, მისი **დამოკიდებულება** გადაიქცევა თუ არა რისკებად, საწარმომ უნდა გაითვალისწინოს გარე მოვლენები.
- გმ42. არსებითი **რისკებისა** და **შესაძლებლობების** მართვასთან დაკავშირებული პოლიტიკის, **ქმედებების**, რესურსებისა და **სამიზნე მაჩვენებლების** შესახებ ინფორმაციის გამჟღავნებისას ისეთ შემთხვევაში, როდესაც რისკები და შესაძლებლობები წარმოქმნილია საწარმოს არსებითი **ზემოქმედებით**, საწარმოს შეუძლია მიუთითოს ამ ზემოქმედებასთან დაკავშირებული პოლიტიკის, ქმედებებისა და რესურსებისა და სამიზნე მაჩვენებლების შესახებ უკვე გამჟღავნებული ინფორმაცია.
- გმ43. საწარმომ უნდა განიხილოს, **ღირებულებათა ჯაჭვში** მომუშავეებთან დაკავშირებული არსებითი რისკების მართვისთვის განკუთვნილი პროცეს(ებ)ი ინტეგრირებულია თუ არა და როგორ საწარმოში არსებულ რისკების მართვის პროცეს(ებ)ში.
- გმ44. როდესაც ინფორმაციას ამჟღავნებს არსებითი ზემოქმედების მართვისთვის გამოყოფილი რესურსების შესახებ, საწარმოს შეუძლია მიუთითოს, რომელი შიდა ფუნქციები/დანაყოფებია ჩართული ამ ზემოქმედების მართვაში და რა ტიპის ზომებს იღებენ უარყოფითი ზემოქმედების აღმოსაფხვრელად და დადებითი ზემოქმედების გასაუმჯობესებლად.

მდგრადობის მაჩვენებლები და სამიზნე მაჩვენებლები

ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნა S2-5 – „არსებითი უარყოფითი ზემოქმედების მართვასთან, დადებითი ზემოქმედების გაუმჯობესებასა და არსებითი რისკებისა და შესაძლებლობების მართვასთან დაკავშირებული სამიზნე მაჩვენებლები“

- გმ45. როდესაც ინფორმაციას ამჟღავნებს **სამიზნე მაჩვენებლების** შესახებ 39-ე პუნქტის შესაბამისად, საწარმოს შეუძლია აღწეროს:
 - ა) სავარაუდო შედეგები, შეძლებისდაგვარად კონკრეტულად, რომელიც მიღწეულ უნდა იქნეს **ღირებულებათა ჯაჭვში** მომუშავეთა ცხოვრებაში;
 - ბ) სამიზნე მაჩვენებლების სტაბილურობა დინამიკაში, განმარტებებისა და მეთოდოლოგიების ჭრილში, რაც უზრუნველყოფს მათ შესადაარსობას;
 - გ) სტანდარტები ან ვალდებულებები, რომლებსაც ეს სამიზნე მაჩვენებლები ეყრდნობა (მაგალითად, ეთიკის კოდექსი, შესყიდვების პოლიტიკა, გლობალური ჩარჩო-დოკუმენტები ან დარგების კოდექსები).
- გმ46. არსებით **რისკებსა** და **შესაძლებლობებთან** დაკავშირებული **სამიზნე მაჩვენებლები** შესაძლოა ემთხვეოდეს ან განსხვავდებოდეს არსებით **ზემოქმედებასთან** დაკავშირებული სამიზნე მაჩვენებლებისგან. მაგალითად, სამიზნე მაჩვენებელმა – **„მიწოდების ჯაჭვში** მომუშავეთა უზრუნველყოფა საარსებო მინიმუმის დონის **ხელფასით“** – შეიძლება შეამციროს ამ მომუშავეებზე ზემოქმედება, ასევე შეამციროს დაკავშირებული რისკებიც, მიწოდების ხარისხისა და საიმედოობის გაუმჯობესების სახით.
- გმ47. საწარმოს შეუძლია ასევე ცალ-ცალკე გამოყოს მოკლევადიანი, საშუალოვადიანი და გრძელვადიანი **სამიზნე მაჩვენებლები**, რომლებიც **პოლიტიკის** ერთსა და იმავე ვალდებულებას ეხება. მაგალითად, საწარმოს შეიძლება ჰქონდეს გრძელვადიანი სამიზნე მაჩვენებელი – „ჯანმრთელობასა და შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული **ინციდენტების** 80%-ით შემცირება 2030 წლისთვის“ ამა თუ იმ

მომწოდებლის შესაბამისი მომუშავეებისთვის და ასევე მოკლევადიანი სამიზნე მაჩვენებელი – „მათი *ზეგანაკვეთური* ნამუშევარი საათების X%-ით შემცირება ისე, რომ შენარჩუნებული იყოს მათი 2024 წლის შემოსავლის დონე“.

- გმ48. თუ საწარმომ საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში შეცვალა ან სხვა მაჩვენებლით ჩაანაცვლა რომელიმე *სამიზნე მაჩვენებელი*, მას ამ ცვლილების ასახსნელად შეუძლია მიუთითოს, ანგარიშგებაში სად არის განხილული *ბიზნესმოდელის* მნიშვნელოვანი ცვლილებები, ან ახლად ამოქმედებული სტანდარტით ან კანონმდებლობით განპირობებული უფრო ფართო ცვლილებები, საიდანაც საწარმომ აიღო სამიზნე მაჩვენებელი, რათა წარმოადგინოს კონტექსტური ინფორმაცია ESRs 2-ის BP-2 ნაწილის – „*კონკრეტულ გარემოებებთან დაკავშირებული ინფორმაციის გამჟღავნება*“ – შესაბამისად.